განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი

27/09/2024

MES 8 24 0001225908

ბრძანება

თბილისი

2024-2030 წლების პროფესიული განათლების სტრატეგიის დამტკიცების თაობაზე

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2023 წლის 26 დეკემბრის N524 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ლ“ ქვეპუნქტების, ,,სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავების მიზნით ინიციატივების/პროექტების წარმოდგენის წესისა და ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 15 იანვრის N28880 ბრძანების საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის ფუნქციათა შემსრულებლის 2024 წლის 20 აგვისტოს N991665 და პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2024 წლის 01 აგვისტოს N933317 და 2024 წლის 25 სექტემბრის N1201829 სამსახურებრივი ბარათების გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს 2024-2030 წლების პროფესიული განათლების სტრატეგია ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის მინისტრი
გიორგი ამილახვარი

დანართი

2024-2030 წლების პროფესიული განათლების სტრატეგია

შინაარსი

შესავალი **4**

1. სიტუაციის ანალიზი **6**

1.1. პროფესიული განათლების მართვა და დაფინანსება **8**

1.2. პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობა და მონაწილეობა **11**

1.2.1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელი 11

1.2.2. პროფესიულ განათლებაში ჩარიცხვის, მიტოვებისა და დასრულების მაჩვენებლები 12

1.3. პროფესიული განათლება, როგორც მიმზიდველი საგანმანათლებლო არჩევანი ახალგაზრდებისთვის **16**

1.4. პროფესიული განათლების ხარისხი **17**

1.4.1. განათლების საფეხურებს შორის კავშირი 19

1.5. შრომის ბაზრის მოთხოვნებთან პროფესიული განათლების შესაბამისობა **19**

1.5.1. ახალგაზრდების განათლებიდან შრომის ბაზარზე გასვლა და დასაქმების მხარდაჭერა 20

2. სტრატეგიის ხედვა, მიზნები და ამოცანები **23**

მიზანი 1. პროფესიული განათლების მოქნილი, მრავალფეროვანი და ინკლუზიური სერვისების უზრუნველყოფა **23**

ამოცანა 1.1. პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა რეგიონულ ჭრილში 23

ამოცანა 1.2. მრავალფეროვანი საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზება ყველა სფეროში 24

ამოცანა 1.3. საკვანძო კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობა 27

ამოცანა 1.4. კარიერული და პიროვნული განვითარების მხარდამჭერი, მრავალფეროვანი და ინკლუზიური სერვისების განვითარება 28

მიზანი 2: პროფესიული განათლების მიმწოდებლების უწყვეტი განვითარებისა და ავტონომიურობის ხელშეწყობა **29**

ამოცანა 2.1. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მართვის მოქნილი მოდელების დანერგვის ხელშეწყობა 29

ამოცანა 2.2. პროფესიული განათლების მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარება 31

ამოცანა 2.3. საგანმანათლებლო გარემოს ეფექტურობის გაზრდა 32

ამოცანა 2.4. საკვანძო კომპეტენციების განვითარების ინსტიტუციური მხარდაჭერა 33

ამოცანა 2.5. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების დონეზე ინკლუზიური სერვისების განვითარება 34

მიზანი 3: პროფესიული უნარების ეკოსისტემის გარდაქმნა საჯარო და კერძო სექტორის გაზიარებული პასუხისმგებლობების გზით 35

ამოცანა 3.1. პროფესიული განათლების პოლიტიკის შექმნასა და განხორციელებაზე პასუხისმგებლობის გაზიარება საჯარო-კერძო სექტორებს შორის 36

ამოცანა 3.2. პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება 37

ამოცანა 3.3. პროფესიული განათლების პოპულარიზაციის ხელშეწყობა 38

ამოცანა 3.4. პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა 39

ამოცანა 3.5. პროფესიული განათლების დაფინანსება 40

რისკები 40

სტრატეგიის განხორციელება 41

სტრატეგიის განხორციელების შესახებ კომუნიკაცია და ინფორმირების ღონისძიებები 42

შესავალი

პროფესიულ განათლებას მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და სიღარიბის შემცირებაში. ხარისხიანი პროფესიული განათლება ხელს უწყობს ადამიანური კაპიტალის გაძლიერებას, უმუშევრობის შემცირებას, ღირსეულ დასაქმებას, ინოვაციისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდას, "მწვანე" ტრანსფორმაციას, სოციალურ ჩართულობას, მოსახლეობის კეთილდღეობას და ამდენად, ქვეყნის მდგრად და ინკლუზიურ განვითარებას.

ხარისხიანი პროფესიული განათლების უზრუნველყოფა საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ეს გამოიხატება ბოლო ათწლეულის განმავლობაში მიმდინარე ფართომასშტაბიან რეფორმებში, შესაძლებლობების გაუმჯობესებასა და გაზრდილ დაფინანსებაში. წინამდებარე სტრატეგია პასუხობს საქართველოსთვის ისეთ გამოწვევებს, როგორიცაა გლობალიზაცია, ტექნოლოგებისა და შრომის ბაზრის სწრაფი ცვლილება, ახალ უნარებზე მოთხოვნა, ქვეყნის ციფრული და მწვანე ტრანსფორმაცია, გარემოსდაცვითი და სოციალური გამოწვევები, უმუშევრობა და სიღარიბე.

სტრატეგია მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ნებისმიერი ინდივიდისთვის ხარისხიანი პროფესიული განათლების მიღებას, მთელი ცხოვრების მანძილზე კომპეტენციების განვითარებასა და თვითრეალიზების შესაძლებლობის უზრუნველყოფას, რაც უზრუნველყოფს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და ევროინტეგრაციას.

სტრატეგიის ძირითადი პრიორიტეტები ჩამოყალიბებულია საუკეთესო ევროპული გამოცდილების საფუძველზე[1]:

- **თანაბარი ხელმისაწვდომობა და ინკლუზიურობა:** ხარისხიანი პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა ფუნდამენტური უფლებაა ყველა ინდივიდისთვის, განურჩევლად მისი წარმომავლობისა, სქესისა, ასაკისა, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა თუ შესაძლებლობებისა. პრიორიტეტულია ხელმისაწვდომობისა და მონაწილეობის ბარიერების შემცირება, განსაკუთრებით სხვადასხვა საჭიროების მქონე ჯგუფებისთვის.
- **შესაბამისობა და ადაპტირება:** სწრაფად ცვალებად ეკონომიკურ გარემოში პროფესიული განათლების პრიორიტეტია ახალგაზრდებისა და ზრდასრულთათვის იმ კომპეტენციების განვითარება, რომლებიც მოთხოვნადია, როგორც ადგილობრივ შრომის ბაზარზე, ასევე გლობალურად.
- **ხარისხის გაუმჯობესება:** სტრატეგიაში პრიორიტეტულია პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესება, საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან, პროფესიული მასწავლებლების მომზადება და უწყვეტი პროფესიული განვითარება, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების აღჭურვილობისა და ინფრასტრუქტურის მოდერნიზება, სწავლება-შეფასების ინოვაციური მეთოდოლოგიების დანერგვა, რათა მომზადდნენ კომპეტენტური კადრები და გაუმჯობესდეს მათი შემდგომი ტრანზიცია შრომის ბაზარზე.

---

[1] European Skills Agenda for sustainable competitiveness, social fairness and resilience
European Centre for the Development of Vocational Training, "Quality Assurance in VET.

- **ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ინტეგრაცია:** პრიორიტეტულია ციფრული და განვითარებადი ტექნოლოგიების, მათ შორის ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობების გამოყენება, რათა გაუმჯობესდეს პროფესიული განათლების მიწოდება და ეფექტურობა.
- **პარტნიორობა:** სტრატეგია ხელს შეუწყობს სინერგიას საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ინდუსტრიის დაინტერესებულ მხარეებს, სამთავრობო უწყებებსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის, რათა განვითარდეს პარტნიორობაზე დაფუძნებული ერთიანი ეკოსისტემა.
- **მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა:** სტრატეგია ხელს შეუწყობს უწყვეტი სწავლის კულტურას, ინდივიდებს შესთავაზებს უნარების განვითარების მოქნილ გზებს, რათა მათ შეიძინონ ახალი უნარები და კომპეტენციები თავიანთი კარიერის განმავლობაში.
- **მობილობა:** პროფესიულ განათლებაში ჩართული პირების (პროფესიული სტუდენტები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, ადმინისტრაციული პერსონალი და სხვა) მობილობის მხარდაჭერა ევროპის მასშტაბით, რათა ხელი შეეწყოს უნარების გაუმჯობესებას და კულტურათაშორის ცნობიერების ამაღლებას.

სტრატეგია შესაბამისობაშია მთავრობის მიერ დამტკიცებულ "ხედვა 2030 - საქართველოს განვითარების სტრატეგიასთან" და „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგიასთან 2022-2030“. წინამდებარე სტრატეგია ასევე ითვალისწინებს პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის (2013- 2020) მიღწევებსა და გამოწვევებს და ქმნის საფუძველს რეფორმის შემდგომი ეტაპისთვის. მიღწეული პროგრესის მიუხედავად, რჩება გარკვეული გამოწვევები პროფესიული განათლების ხარისხის, ხელმისაწვდომობის, შესაბამისობის, მართვის, ავტონომიისა თუ ანგარიშვალდებულების მიმართულებით, რომელთა დაძლევა დაგეგმილია ახალი სტრატეგიის ფარგლებში.

სტრატეგიის შემუშავებისას გათვალისწინებულია ისეთი დოკუმენტები, როგორიცაა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ შემუშავებული მდგრადი განვითარების მიზნები (SDG) - 2030, განათლების 2030 სამოქმედო ჩარჩო (UNESCO 2015), იუნესკოს მიერ გლობალური ტენდენციების ანალიზი, ოსნაბრიუკის დეკლარაცია (2020), ევროპული დღის წესრიგი ზრდასრულთა სწავლებისათვის და რეკომენდაცია კვალიფიკაციის ამაღლებაზე 2020; ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის (26.07.2014), ELGPN (European Lifelong Guidance Policy Network) Concept Note No. 1., No. 2., No. 3., No.4.), შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია (გაერო, 2006 წ.), განათლებაში დისკრიმინაციის საწინააღმდეგო კონვენცია (გაერო, 1960 წ.) და სხვა.

სტრატეგიის შემუშავებისას გათვალისწინებული იყო ევროკავშირის პროფესიული განათლების განვითარების დღის წესრიგი 2030, რომელიც ამბიციური და მრავალმხრივია; ის მიზნად ისახავს შექმნას მდგრადი, ინკლუზიური, ინოვაციური და მაღალი ხარისხის პროფესიული განათლების ეკოსისტემა, რომელსაც შეუძლია უპასუხოს ციფრული და მწვანე ტრანსფორმაციის გამოწვევებს. აქცენტი კეთდება იმაზე რომ პროფესიული განათლება გახდეს უფრო მიმზიდველი, ხელმისაწვდომი, ინკლუზიური და თანამედროვე შრომის ბაზრის

საჭიროებებთან შესაბამისი, რათა ახალგაზრდებმა და ზრდასრულებმა საჭირო უნარების განვითარება შეძლონ მთელი ცხოვრების მანძილზე [2].

სტრატეგია შემუშავებულია დაინტერესებულ მხარეებთან ფართო კონსულტაციის საფუძველზე. მასში ასახულია საგანმანათლებლო დაწესებულებების, დამსაქმებლების, ადგილობრივი და საერთაშორისო პროფესიული განათლების სპეციალისტების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, დონორების ხედვა პროფესიული განათლების სისტემის განვითარებასთან დაკავშირებით. ზემოხსენებულთან ერთად, სტრატეგია ითვალისწინებს პროფესიული განათლების მიდგომების საუკეთესო საერთაშორისო და ადგილობრივ გამოცდილებას.

აღსანიშნავია, რომ პროფესიული განათლების სისტემის მნიშვნელოვანი კომპონენტები მხარდაჭერილია დონორი ორგანიზაციების მიერ. მათ შორის არიან ევროკავშირი (EU), გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), აზიის განვითარების ბანკი (ADB), ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი (KFW), შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო (SDC) და სხვა. სწორედ სახელმწიფო და დონორი ორგანიზაციების ფინანსური რესურსების მობილიზებით შეიქმნა პროფესიული განათლების სისტემის ეტაპობრივი მოდერნიზების შესაძლებლობა საერთაშორისო სტანდარტებისა და რეკომენდაციების შესაბამისად.

სტრატეგიის წარმატებით განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია დაინტერესებული მხარეების აქტიური მონაწილეობა, ასევე საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობა და კოორდინაცია. სტრატეგიის წარმატებით განხორციელებისათვის საჭიროა მტკიცებულებაზე დამყარებული მიდგომის გამოყენება, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების უზრუნველყოფა, რაც ხელს შეუწყობს სტრატეგიის პროგრესისა და ეფექტურობის შეფასებას.

1. სიტუაციის ანალიზი

საქართველო საშუალოზე მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყანაა, რომლის საშუალო რეალურმა ეკონომიკურმა ზრდამ 2014-2023 წლებში 5.0% შეადგინა (საქსტატი, 2023). გლობალური ეკონომიკური გამოწვევების მიუხედავად, საქართველომ შეინარჩუნა ზრდის ტენდენცია, რამაც 2022 წელს 11%, ხოლო 2023 წელს 7.5% შეადგინა. 2023 წელს საქართველოს ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებას მხარს უჭერდა გაზრდილი ინვესტიციების შემოდინება, განსაკუთრებით ისეთ სექტორებში, როგორიცაა ტურიზმი, სოფლის მეურნეობა და ენერგეტიკა, ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება და უცხოური ინვესტიციების მოზიდვა.

მოსახლეობა 3.736 მლნ შეადგენს (საქსტატი, 2024). ასაკობრივი სტრუქტურა იცვლება და ახალგაზრდების წილი მცირდება (2011 წელს 21.8%-დან 2018 წელს 17.8%-მდე, 2021-17.4%, 2022-17.3%%), რის შედეგადაც, სამუშაო ასაკის მოსახლეობა და აქტივობების დონეც

[2] Council Recommendation on vocational education and training (VET) for sustainable competitiveness, social fairness and resilience," 2020.

მცირდება. ახალგაზრდობის წილის შემცირება იწვევს მომავალი სამუშაო ძალის შემცირებას, რაც გავლენას ახდენს ეკონომიკურ პროდუქტიულობასა და ზრდაზე.

ეკონომიკური განვითარების მიუხედავად, საქართველოს შრომის ბაზარს კვლავ აქვს ისეთი გამოწვევები, როგორიცაა უმუშევრობის მაღალი დონე, რომელიც ბოლო 10 წლის განმავლობაში 16%-23%-მდე მერყეობდა და 2023 წელს 16,4% შეადგინა (საქსტატი, 2024). განსაკუთრებით მაღალია ახალგაზრდების უმუშევრობა; 2023-2024 წლებში 15-24 წლის ახალგაზრდების დაახლოებით 25% უმუშევარი იყო, რაც ხაზს უსვამს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ გამოწვევებს.

საქართველოს სამუშაო ძალის მნიშვნელოვანი ნაწილი მუშაობს არაფორმალურ ეკონომიკაში (27.6%, საქსტატი, 2023) და სოფლად (32,7%), რაც ქმნის გამოწვევებს სამუშაოს უსაფრთხოების, სოციალური დაცვისა და შემოსავლების ზრდის კუთხით.

არსებობს შეუსაბამობა უნარების მოთხოვნასა და მიწოდებას შორის (ETF, 2021). ეს შეუსაბამობა აფერხებს პროდუქტიულობას და ინვესტიციების მოზიდვას მაღალ პროდუქტიულ სფეროებში. 2022 წლის IV კვარტალში, გამოკითხულ კომპანიათა თითქმის ნახევარს ჰქონდა კადრების მოძიებასთან დაკავშირებული სირთულეები აპლიკანტების არასაკმარისი ცოდნის დონისა და უნარების გამო (BAG, 2023).

ფიქსირდება გენდერული უთანასწორობა შრომის ბაზარზე, რაც გამოწვევაა ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მისაღწევად. სამუშაო ძალის მონაწილეობის მაჩვენებელი ქალებს შორის არის 54.4%, ხოლო მამაკაცებში 72.4% (საქსტატი, 2023). გენდერული საათობრივი სახელფასო სხვაობა თითქმის ყველა სექტორში შეინიშნება კაცების სასარგებლოდ. 2022 წელს ქალთა ხელფასების თანაფარდობა მამაკაცების ხელფასთან იყო 68,3%, რაც 0,3 პროცენტული პუნქტით ნაკლებია 2021 წლის მონაცემებთან შედარებით (საქსტატი, 2023).

როგორც ქვეყნის შიდა, ისე გარე მიგრაცია, მნიშვნელოვან როლს თამაშობს საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირებაში. სამუშაო გამოცდილების მქონე ბევრი ადამიანი ეძებს დასაქმების შესაძლებლობებს საზღვარგარეთ, ხოლო სოფლიდან ქალაქში მიგრაცია ზრდის სოფლად უმუშევრობას (მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, 2023). ამასთანავე, 2022 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით, საწარმოთა 8%-ს (3,884) ჰყავს 17,851 უცხო ქვეყნის მოქალაქე დასაქმებული, რაც მთლიანი დასაქმების 2%-ია. 2021 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით უცხო ქვეყნის მოქალაქეების დასაქმება 78%-ით გაიზარდა[3].

ცხრილი 1. შერჩეული ინდიკატორები 2020-2023

ინდიკატორები	**2020**	**2021**	**2022**	**2023**
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი	49.8	60.7	72.9	80.2
მშპ, რეალური ზრდა (%)	-6.2	10.6	11.0	7.5

[3] უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა - 2022, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2023

აქტივობის დონე (% 15+)	51.4	51.5	52.3	53.0
დასაქმების დონე (% 15+)	41.0	41.8	43.5	45.5
უმუშევრობის დონე (% 15+)	18.5	20.6	17.3	16.4
ახალკურსდამთავრებულთა დასაქმების დონე (20-34 წ)	49.4	49,1	48.2	54.8
ახალგაზრდების უმუშევრობის დონე (% 15-24)	31.2	33.4	30.6	26.7

წყარო: საქსტატი 2021, 2022, 2023

საქართველოს და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმება (2014) საფუძველს უქმნის გრძელვადიან პოლიტიკურ და ეკონომიკურ თანამშრომლობასა და რეფორმების პროცესის დაახლოებას ევროკავშირის სტანდარტებთან, მათ შორის განათლების სფეროში. საქართველოს მთავრობამ მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაციის პროცესი 2015 წელს დაიწყო. პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მნიშვნელოვანია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მდგრადი განვითარების (SDG) მე-4 მიზნის (ხარისხიანი განათლება), მე-5 მიზნის (გენდერული თანასწორობა) და მე-8 მიზნის (დასაქმება და ეკონომიკური ზრდა) მიღწევისათვის.

საქართველოს ძალისხმევა ასევე შეესაბამება გაეროს ახალგაზრდობის 2030 სტრატეგიასა და განათლება 2030 სამოქმედო ჩარჩოს, რომელიც ხაზს უსვამს ახალგაზრდებისთვის ღირსეული დასაქმებისა და მეწარმეობისთვის საჭირო უნარების განვითარებას.

1.1. პროფესიული განათლების მართვა და დაფინანსება

პროფესიული განათლების სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაზე პასუხისმგებელია განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო. საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ (2018) ითვალისწინებს როგორც კერძო სექტორის, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის როლის გაძლიერებას პროფესიული განათლების მართვაში. პროფესიული განათლების სფეროს განვითარების პოლიტიკა გულისხმობს პროფესიული განათლების მართვას კერძო სექტორის აქტიური ჩართულობით, რაც ხელს შეუწყობს შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიული პროგრამების დანერგვას, ინოვაციური სწავლების მხარდაჭერას, კონკურენციის გაუმჯობესებასა და უკეთესი დასაქმების შესაძლებლობების შექმნას.

2021 წლის 28 აპრილს, საქართველოს მთავრობისა და კერძო სექტორის თანამშრომლობის შედეგად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატამ, ერთობლივად დააფუძნეს პროფესიული განათლების მართვის და უნარების ეკოსისტემის განვითარების ახალი მოდელი - ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს სახით. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პოლიტიკის ფარგლებში, სააგენტო კოორდინაციას უწევს სხვადასხვა ინიციატივებს, რისთვისაც მჭიდროდ თანამშრომლობს სამინისტროს სააგენტოებთან, სექტორულ სამინისტროებთან, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან განათლების ხარისხის, მიმზიდველობისა და შესაბამისობის გაუმჯობესების მიზნით.

ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს გარდა, პროფესიული განათლების პოლიტიკის განხორციელების პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სააგენტოები - სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (NCEQE), სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (EMIS), სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო (ESIDA) და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებები.

კერძო სექტორის ჩართულობა პროფესიულ განათლებაში ხორციელდება სისტემის, სექტორისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების დონეზე.
სისტემის დონეზე პარტნიორობა გულისხმობს უფრო ფართო თანამშრომლობას სამთავრობო უწყებებს, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და ინდუსტრიის წარმომადგენლებს შორის პროფესიული განათლების პოლიტიკისა და სტრატეგიული მიმართულებების ჩამოყალიბებისთვის (OECD, 2019). სისტემის დონეზე თანამშრომლობის კონტექსტში მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2021 წელს, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, ერთობლივად დაფუძნდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - პროფესიული უნარების სააგენტოს უმაღლესი მართვის ორგანოა სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც დაკომპლექტებულია საჯარო-კერძო პარტნიორობის პრინციპით, ქვეყანაში არსებული ბიზნეს-გაერთიანებებისა და სახელმწიფო ორგანიზაციების წარმომადგენლებით (გადაწყვეტილების მიმღები პირები). საბჭო განსაზღვრავს სააგენტოს პოლიტიკას და ასრულებს უმნიშვნელოვანეს ფუნქციებს ორგანიზაციის ეფექტიანი საქმიანობისათვის.

სექტორის დონეზე თანამშრომლობის კონტექსტში მნიშვნელოვანია აღინიშნოს პარტნიორობა კონკრეტული დარგობრივი პოლიტიკის შემუშავებისა და დანერგვის პროცესში ბიზნეს გაერთიანებებთან, დარგობრივ ასოციაციებთან, დარგობრივი უნარების ორგანიზაციებთან და სხვა. დარგობრივი უნარების ორგანიზაცია (დუო) წარმოადგენს სექტორის დონეზე ჩამოყალიბებულ ორგანიზაციას, რომელიც ეკონომიკურ დარგში არსებულ ძირითად ასოციაციებს/კლასტერებს აერთიანებს.

2022 წელს ამოქმედდა სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მარეგულირებელი ჩარჩო, რომელშიც დეტალურად აისახა დარგობრივი უნარების ორგანიზაციების როლი და მათი ფუნქციები. მიმდინარე ეტაპზე დარგობრივი უნარების ორგანიზაციებთან დაკავშირებით იკვეთება ისეთი გამოწვევები, როგორიც არის მსხვილი ბიზნესების სკეპტიკური დამოკიდებულება დარგობრივი ორგანიზაციების მიმართ მაშინ, როდესაც მსხვილი ბიზნესის თანამონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია პროფესიულ განათლებაში. როგორც ყველაზე დიდ დამსაქმებლებს, შრომის ბაზარზე მათ აქვთ ის შესაძლებლობა, რომ ადამიანური კაპიტალის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშონ.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების დონეზე პარტნიორობა მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაში ჩართულობას სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიმართულებით. ამასთან, დაწესებულებების სამეთვალყურეო საბჭოებში ხშირად არიან წარმოდგენილი პარტნიორი ბიზნეს

ორგანიზაციები. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების დონეზე პარტნიორობას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ახალი ინიციატივა, რომელიც ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამონაწილეობითი მართვის მოდელების დანერგვას.

პროფესიული განათლების მმართველობა განვითარდა სტრატეგიული რეფორმებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის გზით; კერძო სექტორის ჩართულობამ ხელი შეუწყო პროფესიული განათლების ხარისხისა და შესაბამისობის გაუმჯობესებას. კომპანიებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ საგანმანათლებლო პროგრამების, მათ შორის მოკლევადიანი პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავებასა და დანერგვაში, რაც ზრდის პროგრამების შესაბამისობას კერძო სექტორის მოთხოვნებთან და შრომის ბაზრის საჭიროებებთან (ETF, 2019).

ამ პროცესში მნიშვნელოვანია პარტნიორობის გრძელვადიანი მდგრადობის უზრუნველყოფა, პოლიტიკის ინიციატივების წარმატებით დანერგვა პარტნიორობის საფუძველზე, შესაძლებლობების, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების გაძლიერება.
გარდა პარტნიორობისა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის საკითხი განსხვავებულია დაწესებულებებს შორის, თუმცა მენეჯმენტს ხშირად აკლია მოქნილობა და ინოვაციურობა; დირექტორები ხშირად ცდილობენ გამოიყენონ თანამედროვე მართვის მიდგომები, თუმცა რესურსებისა და გამოცდილების ნაკლებობა ართულებს ამ პროცესს.

პროფესიული მასწავლებლების უწყვეტი პროფესიული განვითარების სისტემა არ არის განვითარებული დაწესებულებების დონეზე; პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და ინსტრუქტორების პროფესიული განვითარებისა შესაძლებლობები არ არის სისტემატიზებული და სტანდარტიზებული, რაც არათანაბარ პირობებში აყენებს სხვადასხვა კვალიფიკაციის მასწავლებლებსა და ინსტრუქტორებს.

პროფესიული განათლების რეფორმის მასშტაბების ზრდის პარალელურად, ასევე მზარდია პროფესიული განათლების ბიუჯეტი, რომელიც 2017-2020 წლებში 22% -ით გაიზარდა. 2023 წელს, პროფესიული განათლების საერთო ბიუჯეტმა 115.7 მილიონი ლარი შეადგინა, ხოლო 2024 წლისთვის გათვალისწინებულია 133.5 მილიონი ლარი.

ცხრილი 2. პროფესიული განათლების დაფინანსება (მლნ ლარი)

	2020	**2021**	**2022**	**2023**
პროფესიული განათლების დაფინანსება (მთლიანი საჯარო ხარჯები)	64.4	66.2	92.6	115.7

წყარო: საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

ამჟამად, მრავალმხრივი ინფორმაციაა ხელმისაწვდომი პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, თუმცა საჭიროა გაუმჯობესდეს ინფორმაციის ანალიტიკური დამუშავება და მისი პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში გამოყენება.

1.2. <u>პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობა და მონაწილეობა</u>

პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა და მონაწილეობა ბოლო წლებში იზრდება, რაც გამოწვეულია ინკლუზიურობის სისტემის გაძლიერებით და შესაძლებლობების გაფართოებით ყველა მოქალაქისთვის განურჩევლად მათი წარმოშობისა თუ პირადი გამოწვევებისა. პროფესიული განათლების ინკლუზიური მიდგომა შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებსა და რეკომენდაციებს, მათ შორის UNESCO, რომელიც მხარს უჭერს ყოვლისმომცველ სტრატეგიებს, რათა პროფესიული განათლება ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდეს (UNESCO, 2018).

შემუშავდა „ინკლუზიური პროფესიული განათლების კონცეფცია", რომელიც წარმოადგენს სტრატეგიულ ხედვას პროფესიული და ზრდასრულთა განათლების სისტემაში ინკლუზიურობის მიღწევისთვის საჭირო პოლიტიკური და საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნისა და საუკეთესო პრაქტიკების დანერგვის მიმართულებით. კონცეფცია მიზნად ისახავს ყველა დამატებითი საჭიროების მქონე და მოწყვლადი ჯგუფისთვის პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას.

1.2.1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელი

პროფესიულ განათლებაში მონაწილეობაზე, სხვა ფაქტორებთან ერთად, გავლენას ახდენს პროფესიული განათლების გეოგრაფიული ქსელის ხელმისაწვდომობა და მისი შესაძლებლობები რეგიონულ თუ მუნიციპალურ დონეზე.

2023 წლის მდგომარეობით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება ჰქონდა 76 საგანმანათლებლო დაწესებულებას. ამათგან, 26 სახელმწიფო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება იყო, 36 კერძო, 12 უმაღლესი საგანმანათლებლო და 2 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება.

პროფესიული განათლება ხელმისაწვდომი ხდება ახალ ლოკაციებზე. 2023 წელს ეს შესაძლებლობა გაჩნდა ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი" ლანჩხუთის სასწავლო ბაზაზე, ხაშურისა და წყალტუბოს კოლეჯებში სამინისტროს მხარდაჭერით მიმდინარეობს სამუშაოები ავტორიზაციის პროცესისთვის, დასრულდა სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ბაზის რეაბილიტაცია ქ. ახალქალაქში.

გერმანიის მთავრობის მხარდაჭერით მიმდინარეობს თბილისში ტრანსპორტის/ლოგისტიკისა და სამშენებლო მიმართულების ე. წ. „ექსელენს ცენტრის" განვითარების პროცესი.

სტუდენტური საერთო საცხოვრებელი ხელმისაწვდომია 7 საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ქვეყნის ათივე რეგიონსა და 36 მუნიციპალიტეტში (თბილისის ჩათვლით) არის ხელმისაწვდომი. 2023 წელს მიღება მოდულურ პროგრამებზე გამოაცხადა 73-მა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების

განმახორციელებელმა დაწესებულებამ, საიდანაც პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება იყო - 60, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - 11, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება - 2. ამასთან, 73-მა დაწესებულებამ გამოაცხადა მიღება პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებზე, საიდანაც პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება იყო - 44, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება იყო - 9, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება - 1, ხოლო არასაგანმანათლებლო იურიდიული პირი - 22.

2023 წლის მდგომარეობით, ნებისმიერი მსურველისათვის, ხელმისაწვდომი იყო პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების 500-ზე მეტი პროგრამა.

2020 წელს დაიწყო ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა, რაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირებას გულისხმობს. ინტეგრირებულ პროგრამებზე სწავლება ხელმისაწვდომია საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში. 2023 წლის მდგომარეობით, პროფესიული განათლების სისტემაში ხორციელდებოდა 91 ინტეგრირებული პროგრამა

ყველა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებობს კარიერული საკონსულტაციო სერვისები, თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ განახლებული ინფორმაცია შრომის ბაზრისა და საგანმანათლებლო შესაძლებლობების შესახებ ნაკლებად არის ხელმისაწვდომი დაინტერესებული პირებისათვის, რაც ხელს შეუწყობდა მათი მხრიდან ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებას; ტექნოლოგიები ნაკლებად გამოყენება კარიერული ინფორმაციის მოგროვება-გავრცელების პროცესში. მრავალფეროვან სტუდენტური სერვისები განვითარებას საჭიროებს.

1.2.2. პროფესიულ განათლებაში ჩარიცხვის, მიტოვებისა და დასრულების მაჩვენებლები

2018-2019 წლებში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრირებულთა დინამიკა კლებადი იყო, თუმცა ბოლო წლების განმავლობაში პროფესიული განათლების მიმართ საზოგადოების ინტერესი მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაზეც მეტყველებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრირებული პირების მზარდი მაჩვენებელი: 2023 წელს, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობა გაიზარდა და 17 700-ს მიაღწია, რაც წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 15%-ით მეტია.

ცხრილი 3. პროფესიულ განათლებაზე გამოცხადებული ადგილებისა და რეგისტრირებული პირების რაოდენობა 2020-2023 წწ

	2020	**2021**	**2022**	**2023**
გამოცხადებული ადგილების რაოდენობა	9056	13 871	17 183	17 700
რეგისტრირებული პირების რაოდენობა	14 324	18 784	24 449	27 891

წყარო: სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა

2023 წლის ბოლოს მდგომარეობით, როგორც საკვალიფიკაციო, ასევე პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებზე ჩაირიცხა 22 567 პირი, რაც 2021 წლის საბაზისო მაჩვენებელს (15 000 პირი) 50%-ზე მეტით აღემატება. აღნიშნული 22 567 პირიდან, გამოცხადებული მიღების ფარგლებში, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩაირიცხა 15 523 პირი, ხოლო მომზადება/გადამზადების პროგრამებზე - 7158 პირი.

როგორც სტატისტიკა გვიჩვენებს, კერძო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჭარბობს ქალების რაოდენობა, ხოლო საჯაროში - კაცების, სავარაუდოდ პროგრამების სპეციფიკიდან და პროფესიის არჩევისას გენდერული სტერეოტიპებიდან გამომდინარე. პროფესიულ განათლებაში კვლავაც შეინიშნება გენდერული ჰორიზონტალური სეგრეგაცია; ქალები ჭარბობენ ისეთ სფეროებში, როგორიცაა განათლება, ხელოვნება, ჯანდაცვა და ბიზნესის ადმინისტრირება, ხოლო მამაკაცები ჭარბობენ ქალებს STEM სფეროებში[4].

პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემით, 2023 წელს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მქონე პირთაგან ქალ პროფესიულ სტუდენტთა წილი თითქმის უთანაბრდება კაცთა პროცენტულ წილს.

ცხრილი 3. პროფესიულ განათლებაზე ჩარიცხვა კალენდარული წლის მიხედვით

სასწავლებელი	**სქესი**	**2020**	**2021**	**2022**	**2023**
კერძო	კაცი	1653	1270	1938	2214
კერძო	ქალი	2477	2770	3004	3687
საჯარო	კაცი	3200	4498	5596	5859
საჯარო	ქალი	2277	2883	3640	3763
ჯამი		**9607**	**11421**	**14178**	**15523**

წყარო: სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (მოცემულია ერთიანი მონაცემები საჯარო და კერძო სასწავლებლებისთვის, 2020 – 2023 წ).

2023 წელს დუალურ პროგრამებზე გამოცხადებული იყო 554 ადგილი (დამატებით 62 ადგილი სსსმ პირებისთვის), დარეგისტრირდა 1805 აპლიკანტი. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2023 წლის მიღების ფარგლებში, დუალურ პროგრამებზე სულ ჩაირიცხა 463 პროფესიული სტუდენტი.

ინტეგრირებულ პროგრამებზე გამოცხადებული იყო 1010 ადგილი (დამატებით 116 ადგილი სსსმ პირებისთვის) და რეგისტრირებულ პირთა რაოდენობამ შეადგინა 2370, ხოლო ჩაირიცხა 783 პროფესიული სტუდენტი.

[4] Country Gender Equality Profile of Georgia. UN Women 2021

სამინისტროს მხარდაჭერით დაფინანსდა 214 პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამა. 2023 წელს პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებზე ჩაირიცხა 7158 პირი.

აპლიკანტთა ჩარიცხვის პროცესში გამოყენებულია სხვადასხვა მექანიზმები; პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები, პარტნიორ ორგანიზაციებთან, მათ შორის დამსაქმებლებთან ერთად, თავად უზრუნველყოფენ სტუდენტთა შერჩევის პროცესის ორგანიზებას.

პროფესიული პროგრამის წარმატებით დასრულების დონე 2019 წლისთვის 70 %-მდე გაიზარდა[5]. თუმცა, 2023 წელს 7741 სტუდენტმა დაასრულა პროფესიული განათლება, რაც ჩარიცხულთა 51.3% შეადგენდა; ამათგან 4030 კაცი იყო, ხოლო ქალი უფრო ნაკლები - 3711. საგულისხმოა, რომ პროფესიული განათლება წარმატებით დაასრულა ჩარიცხული კაცების 51%-მა, ხოლო ქალების 52%-მა (განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, 2023).

შესამჩნევია რეგიონული განსხვავება როგორც პროფესიულ განათლებაში ჩარიცხვის, ასევე დასრულების მაჩვენებლების მხრივ. მიუხედავად ბოლო წლების მანძილზე გაწეული ძალისხმევისა, რეგიონული უთანასწორობა კვლავ გამოწვევად რჩება. თბილისში უფრო მაღალია მონაწილეობისა და დასრულების მაჩვენებლები, ვიდრე სოფლად.

გასათვალისწინებელია, რომ პროფესიული განათლების საფეხურზე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები სარგებლობენ შერჩევის მოქნილი მიდგომით, რომელიც გულისხმობს რუსულ, სომხურ ან აზერბაიჯანულ ენაზე შერჩევის პროცედურის გავლას. ამასთან, მათ აქვთ შესაძლებლობა პროფესიული მოდულების სწავლების დაწყებამდე, საჭიროების შემთხვევაში გაიარონ ქართული ენის მოდული და ამის შემდგომ დაეუფლონ სასურველ პროფესიას. 2023 წელს 289 პირი ჩაირიცხა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ეთნიკური უმცირესობებისთვის განკუთვნილი შერჩევით. ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი სამუშაოები შესრულდა პროფესიული განათლების საფეხურზე ინკლუზიური განვითარების მიმართულებით, რაც გულისხმობს პროფესიული განათლების პოლიტიკის, სერვისებისა და პროგრამების ორიენტაციას სხვადასხვა დამატებითი საჭიროებების მქონე ჯგუფებზე.

2023 წელს პროფესიულ განათლებაში ჩაირიცხა 271 სსსმ პირი. ჯამში პროფესიულ განათლებას იღებს 939 პირი. პროფესიულ სასწავლებლებში, განსხვავებული საჭიროების მქონე პირების ჩართულობის მაჩვენებელი 24%-ით გაიზარდა.

ზრდასრულთათვის პროფესიული განათლება საქართველოში მიმზიდველია, რაზეც მეტყველებს მზარდი მოთხოვნა; 2020-დან 2022 წლამდე, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებზე ჩარიცხვის მაჩვენებელი 159%-ით გაიზარდა, თუმცა მოთხოვნა მკვეთრად აჭარბებს მიწოდებას; გამოწვევები უკავშირდება პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობასა და ზრდასრულთათვის მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის შესაძლებლობის უზრუნველყოფას, როგორც ფორმალური, ასევე, არაფორმალური განათლების კონტექსტში..

[5] პროფესიული განათლების სტუდენტების სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი. 2020. ACT

დამსაქმებლის ჩართულობით მომზადებული პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადამიანური კაპიტალის კვალიფიკაციის ამაღლებაში. აღნიშნული პროგრამები საშუალებას აძლევს დასაქმებულებს შეიძინონ ახალი უნარები და ცოდნა, რაც ზრდის მათ პროფესიულ კომპეტენციებს და დადებითად აისახება როგორც მათ პიროვნულ და კარიერულ განვითარებაზე, ასევე ეკონომიკურ-სოციალურ კეთილდღეობაზე, რაც საბოლოო ჯამში დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. მაღალია სისტემაში სტატუსის შეწყვეტისა და მიტოვების მაჩვენებლები; 2019-ში 39.7% და 2020 წელს 28%, 2021 წელს- 36.6%. 2023 წელს სწავლის დასრულება უწევდა 12394 სტუდენტს, საიდანაც სტუდენტის სტატუსი შეიჩერა 1481 (11,9%), ხოლო შეიწყვიტა 2730 სტუდენტმა (22%).

მიტოვების მაჩვენებლის კვლევა აჩვენებს რომ პროფესიული სტუდენტები სწავლის შეწყვეტისას არაინფორმირებულ გადაწყვეტილებას იღებენ და საშუალოდ 5.4 თვეში წყვეტენ სწავლას. გამოიკვეთა მკვეთრად "დაღმავალი მიტოვების" ტენდენცია, ანუ პროფესიულმა სტუდენტებმა სრულად დატოვეს განათლების სისტემა და არსად გაუგრძელებიათ სწავლა. ნახევარზე მეტი მდედრობით სქესის წარმომადგენელი იყო; რაც უფრო დაბალი იყო ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი, მით უფრო მოკლე დროში მიატოვეს პროფესიულმა სტუდენტებმა დაწესებულებები[6].

პროფესიული სტუდენტების მხრიდან სწავლის მიტოვება ნაკლებად უკავშირდება უარყოფით დამოკიდებულებას სწავლისა და პროფესიული განათლების მიმართ. აღნიშნული უფრო მეტად დაკავშირებულია სხვადასხვა ბარიერთან - პროგრამის მოუქნელი გრაფიკი, სასწავლებლის არახელსაყრელი მდებარეობა, დასაქმება, ფინანსური პრობლემები მგზავრობასთან, საცხოვრებელთან დაკავშირებით და ქორწინება-განქორწინება, ოჯახური მდგომარეობა, ბავშვის ყოლა და სხვა. ამ ბარიერების უმეტესობაზე პროფესიულ სტუდენტებს თავად ნაკლები გავლენა აქვთ და შესაბამისი მხარდაჭერის გარეშე, დამოუკიდებლად დაძლევა არ შეუძლიათ.

შეჯამების სახით, ბოლო წლების განმავლობაში იზრდება პროფესიულ განათლებაზე ადგილების, აპლიკანტთა და ჩარიცხვების მაჩვენებლები, რაც დადებითი და საგულისხმო ტენდენციაა, თუმცა ეს ტენდენცია ნაკლებად აისახება კურსდამთავრებულთა რაოდენობაზე. გასათვალისწინებელია, რომ არსებობს გამოწვევები პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობასა და ინკლუზიურობასთან დაკავშირებით; მათ შორისაა გეოგრაფიული, ფინანსური და საინფორმაციო ბარიერები, საგანმანათლებლო ქსელის შესაძლებლობების ნაკლებობა, განსაკუთრებით რეგიონებში.

გამოწვევას წარმოადგენს სტატუსის შეწყვეტისა და მიტოვების მაღალი მაჩვენებლები, რაც საბოლოოდ ჯამში ამცირებს კურსდამთავრებულთა რაოდენობას და შესაბამისად, აფერხებს ქვეყანაში კვალიფიციური კადრების მომზადებას. ეს გამოწვევა საჭიროებს მეტად ინკლუზიურ, პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებულ მიდგომას, შესაბამისი

[6] პროფესიული განათლების მიტოვების კვლევა. ანგარიში. „ტექნიკური მხარდაჭერა შრომის ბაზრის საჭიროებებსა და დასაქმებაზე მორგებული ცოდნა-უნარების განვითარებისთვის (Skills4Jobs TA Project)". 2022

მექანიზმების განვითარებას, ინტენსიური კარიერული კონსულტაციისა თუ სხვა სტუდენტური სერვისების შეთავაზებას, სადაც გათვალისწინებული იქნება ინდივიდუალური საჭიროებები. მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო გრაფიკის მოქნილობა, სწავლება-შეფასების მეთოდების გაუმჯობესება, სწავლის მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი პროფესიულ სტუდენტების ადრეულ ეტაპზე იდენტიფიცირება და მათთვის შესაბამისი სერვისის შეთავაზება და სხვა.

1.3. პროფესიული განათლება, როგორც მიმზიდველი საგანმანათლებლო არჩევანი ახალგაზრდებისთვის

პროფესიული განათლების დაბალ მიმზიდველობაზე გავლენას ახდენს სოციოკულტურული აღქმა და დამოკიდებულებები, რომელიც პრიორიტეტს აკადემიურ განათლებას ანიჭებს, ამტკიცებს პროფესიული განათლების დაბალ სტატუსს, სტერეოტიპებს, მათ შორის გენდერულს და სხვა. ამ იერარქიაში აკადემიური განათლება ჯერ კიდევ მეტად პრიორიტეტულია პროფესიულთან შედარებით.

2022 წელს საზოგადოებრივი აზრის კვლევის თანახმად, პროფესიული განათლების შესახებ სმენია გამოკითხულთა 79%-ს.

ACT-ის 2022 წლის „პროფესიული განათლების მიმართ საზოგადოებრივი აზრის კვლევის“ მიხედვით, ათიდან დაახლოებით ოთხი გამოკითხული არჩევანს პროფესიულ განათლებაზე გააკეთებდა (37%). ათიდან ოთხი გამოკითხულისთვის, პროფესიული განათლება არის მნიშვნელოვანი პროფესიული/სამუშაო ცხოვრების დასაწყებად (43%), მისი მიღება შესაძლებელია პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში (42%) და ის გულისხმობს მეტწილად პრაქტიკულ სწავლებას (38%). პროფესიული განათლება ქვეყნის ეკონომიკისთვის არცთუ უმნიშვნელო მექანიზმადაა აღქმული. ათიდან ოთხი გამოკითხული მიიჩნევს, რომ პროფესიული განათლება აძლიერებს ქვეყნის ეკონომიკას (41%) და რომ ის მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყანაში უმუშევრობის დონის შესამცირებლად (40%). თვისებრივი კვლევის შედეგების თანახმად, წლებთან ერთად პროფესიული განათლების მიმართ დამოკიდებულებები იცვლება და იზრდება დადებითი განწყობები, თუმცა, ფართო საზოგადოების მიერ ის მაინც ნაკლებად პრესტიჟულად ფასდება (უმაღლეს განათლებასთან შედარებით).

პროფესიული განათლების მიმართ ცნობიერების ამაღლების მიზნით, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო საერთაშორისო ორგანიზაციებთან პარტნიორობით, ახორციელებს მრავალ აქტივობას, როგორიცაა გამოფენები, საიმიჯო რგოლები სოციალურ მედიაში, ღია კარის დღეები, უნარების კვირეული და სხვა. ხდება მისი, როგორც ღირსეული დასაქმების შესაძლებლობის პოპულარიზება, რასაც ბევრი წარმატებული შემთხვევა ადასტურებს.

პროფესიული განათლების იმიჯი და მიმზიდველობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა განსაკუთრებით ახალგაზრდებს შორის, რომლებიც დაინტერესებულები არიან სწრაფი დასაქმებითა და კარიერული განვითარებით.

ამასთან ერთად, სამინისტროს მიერ 2017 წლიდან ხორციელდება სკოლის მოსწავლეებისთვის განკუთვნილი პროფესიული უნარების განვითარების პროგრამა (Work Skills Development

Program), რომელიც სკოლის მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, პრაქტიკულად მოსინჯონ მათთვის საინტერესო პროფესიები.

2022 წელს 23 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ინიციატივით, საქართველოს 400-ზე მეტ საჯარო სკოლაში პროფესიული უნარების განვითარების საორიენტაციო კურსები განხორციელდა, სადაც 7000 – მდე მე –8 და მე –9 კლასის მოსწავლემ 30 – ზე მეტ პროფესიულ სფეროში გაიარა პროფესიული მომზადება. 2023 წლის მონაცემებით 122 საჯარო სკოლაში განხორციელდა 141 საორიენტაციო კურსი და ჩართული იყო 1982 მოსწავლე (მე-8 და მე-9 კლასი), ხოლო 41 საჯარო სკოლაში განხორციელდა 68 სასერტიფიკატო კურსი და ჩართული იყო 1335 მოსწავლე (მე-10, მე-11 და მე-12 კლასი).

მომზადებულია „ფორმალურ განათლებაში პროფესიული ორიენტაციის, კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის სტრატეგია 2024-2028 წწ.“, რომლის მიზანია განათლების სფეროში კარიერის დაგეგმვისა და მართვის ხარისხიანი და უწყვეტი სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველა ახალგაზრდისა და ზრდასრულისთვის.

გაგრძელდა მუშაობა პროფესიული განათლების სისტემის ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოების მიმართულებით. 2022 წლიდან Erasmus+ პროგრამა ამოქმედდა პროფესიული განათლების საფეხურზე და ძალაში შევიდა ერთობლივი და გაცვლითი პროგრამების განხორციელების მარეგულირებელი ჩარჩო.

შეჯამების სახით, პროფესიული განათლების რეფორმამ, მოდერნიზების აქტივობებმა (საგანმანათლებლო პროგრამების გადამუშავება, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება), საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დონორების მხარდაჭერამ, ხელი შეუწყო პროფესიული განათლების მიმზიდველობასა და იმიჯის გაუმჯობესებას; თუმცა, ახალგაზრდების, მათი ოჯახებისა და დამსაქმებლების გარკვეული ნაწილისთვის პროფესიული განათლება ჯერ კიდევ მეორეხარისხოვან განათლებად აღიქმება აკადემიურ განათლებასთან შედარებით. მეტი ადვოკატირებისა და ცნობიერების ამაღლების აქტივობებია საჭირო პროფესიული განათლების ღირებულების ხაზგასასმელად საზოგადოებაში. გასათვალისწინებელია, რომ პროფესიული განათლების იმიჯი და მიმზიდველობა კომპლექსური საკითხია და მასზე აისახება პროფესიული განათლების ხარისხისა და შესაბამისობის, დასაქმების შესაძლებლობების, საჯარო-კერძო პარტნიორობის შედეგებიც.

1.4. <u>პროფესიული განათლების ხარისხი</u>

პროფესიული განათლების სფეროში ჩამოყალიბებულია ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩო და მექანიზმები. ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმს წარმოადგენს ავტორიზაცია, რომელზეც პასუხისმგებელი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრია (NCEQE), ხოლო შიდა მექანიზმი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების თვითშეფასებაა, რომლის წარდგენის ვალდებულებაც დაწესებულებებს აქვთ ყოველწლიურად.. 2019 წელს დამტკიცდა ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორი; NQF-ის წარმატებით განხორციელება ხელს უწყობს პროფესიული კვალიფიკაციების სტანდარტიზაციას. 2020 წელს დამტკიცდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ახალი სტანდარტები, რომელიც ორიენტირებულია ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაძლებლობების გაძლიერებასა და ავტონომიის გაზრდაზე.

მიმდინარეობს EQAVET (პროფესიული განათლების ევროპული ხარისხის ქსელი) ინდიკატორების ინტეგრირების პროცესი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებში.

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარების პარალელურად, განახლდა პროფესიული კვალიფიკაციების განვითარების მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს კვალიფიკაციების განვითარების პროცესში კერძო სექტორის როლის გაძლიერებას. აღნიშნული ხელს შეუწყობს პროფესიული კვალიფიკაციების ხარისხის გაუმჯობესებას და თავსებადობას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

პროფესიული განათლების მასწავლებლების მომზადება და უწყვეტი პროფესიული განვითარება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველსაყოფად, რომელიც ერთ-ერთი გამოწვევაა პროფესიული განათლების მასწავლებლების, მათ შორის, მოწვეული მასწავლებლების საერთო რაოდენობა დაახლოებით 4000-ია. საქართველოში მსოფლიო ბანკის პროექტის "მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება პროფესიულ განათლებაში" (2021) ფარგლებში შემუშავებულია "პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის მოქნილი სისტემის მოდელი" და პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის სამუშაო დოკუმენტები. აზიის განვითარების ბანკის (ADB) მხარდაჭერით მიმდინარეობს აღნიშნული დოკუმენტების გადახედვა. ასევე, მომზადდა მასწავლებელთა მომზადებისა და გადამზადების პროგრამები, რომელთა საფუძველზეც პროფესიული უნარების სააგენტო ახორციელებს მასწავლებელთა სპეციალიზებულ ტრენინგებს. პროფესიული განათლების მასწავლებელთა თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით, მასწავლებელთა ქსელები შეიქმნა სხვადასხვა სექტორში. პრიორიტეტულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით დაწესებულებების შიდა სისტემის ჩამოყალიბება. ამასთან, განსაკუთრებული აქცენტი კეთდება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად პროფესიული განათლების მასწავლებელთა მომზადებაზე.

სწავლების პროცესში გამოწვევაა სასწავლო რესურსების ნაკლებობა ქართულ ენაზე. გამომდინარე იქიდან, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლების უმეტესობა ნაკლებად ფლობს უცხოურ ენებს, გამოწვევაა თანამედროვე უცხოური მასალების გაცნობა ან/და მასწავლებელთა ჩართვა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში.

მსოფლიო ბანკის ანგარიშის მიხედვით, საქართველოში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების 90%-ს აქვს გარკვეული ტექნოლოგიებით ინტეგრირებული, გაუმჯობესებული სწავლის მეთოდები თავის სასწავლო გეგმაში (მსოფლიო ბანკი, 2023). პროფესიული განათლების საფეხურზე ტექნოლოგიების გამოყენების კიდევ უფრო მეტად ხელშეწყობის მიზნით, მომზადებულია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ციფრული ტრანსფორმაციის კონცეფცია, შემუშავებულია პროფესიული განათლების სწავლების ელექტრონული პლატფორმა - lms.geoskills.ge, რომელზეც განთავსებულია მომზადდა თვითმართვადი კურსები, ონლაინ კურსები ინტერაქტიული სასწავლო კონტენტის დიზაინისა და ხელოვნური ინტელექტის საშუალებით სასწავლო რესურსის შექმნის შესახებ. პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამები სულ უფრო მეტად მოიცავს ციფრული წიგნიერებისა და ტექნოლოგიების კომპონენტებს, თუმცა თანამედროვე ტენდენციების კვალდაკვალ საჭიროა უფრო ფართო და ინტენსიური ტრენინგები.

პროფესიული განათლების სფეროში არსებობს ინოვაციური პრაქტიკის წარმატებული მაგალითები, თუმცა ეს შემოიფარგლება ცალკეული ინსტიტუციებით და ამდენად, სისტემის მასშტაბურ გაუმჯობესებაზე ნაკლებ გავლენას ახდენს.

მწვანე კომპეტენციებზე გადასვლის მხრივ, სისტემაში მზაობა შეინიშნება, მომზადდა კონცეფციაც, თუმცა ჯერ კიდევ მიმდინარეობს მუშაობა მწვანე კომპეტენციების ინტეგრირების ეფექტურ გზებზე.

1.4.1. განათლების საფეხურებს შორის კავშირი

პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონი აქცენტს აკეთებს პროფესიული განათლების საფეხურის ფორმალური განათლების სხვა საფეხურებთან დაკავშირებაზე. 2020 წლიდან სისტემაში დაინერგა ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომელმაც მნიშვნელოვანი საფუძველი შექმნა ზოგადი და პროფესიული განათლების საფეხურების დაკავშირების მიმართულებით. მიუხედავად ამისა, კვლავ გამოწვევად რჩება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების თავსებადობა და კრედიტების ტრანსფერი უმაღლესი განათლების საფეხურთან დაკავშირების მიზნით.

ასევე, გასათვალისწინებელია არაფორმალური განათლების აღიარების ნაკლები გამოცდილება, რომელიც მნიშვნელოვანი მექანიზმია მთელი ცხოვრების მანძილზე განათლების ხელშეწყობის თვალსაზრისით. ამჟამად 11 დაწესებულებას აქვს არაფორმალური განათლების აღიარების უფლება 11 სწავლის სფეროში. თუმცა, მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით მასშტაბების გაზრდა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება არაფორმალური განათლების აღიარების შესაძლებლობების შესახებ.

პროფესიული განათლების სისტემაში ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით განხორციელებული ინტერვენციების მიუხედავად, პროფესიული განათლების ხარისხი კვლავ გარკვეული გამოწვევების წინაშე დგას. ეს მოიცავს პროფესიული განათლების მასწავლებელთა უწყვეტ პროფესიულ განვითარებას, რეგიონული უთანასწორობის აღმოფხვრას, სწავლება-შეფასებისა და პროფესიული კვალიფიკაციების მინიჭების ხარისხის უზრუნველყოფას, ინოვაციების ინტეგრირებას პროფესიულ განათლებაში, კერძო სექტორთან პარტნიორობას სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიმართულებით, პროფესიული განათლების შესაბამისობას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებას.

1.5. <u>შრომის ბაზრის მოთხოვნებთან პროფესიული განათლების შესაბამისობა</u>

საქართველოს პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიის (2013-2020) შესრულების შეფასებისას გამოიკვეთა პროფესიული განათლების განვითარების და შრომის ბაზართან თავსებადობის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯების ეფექტურობა, რაც უკავშირდება მყარი საკანონმდებლო, მეთოდოლოგიური და ინსტიტუციური საფუძვლების შექმნას.

2022 წელს ჩატარებული კურსდამთავრებულთა კვლევის მიხედვით, 2020 წლის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი შეადგენს - 60%-ს, ხოლო 2021 წლის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი - 74%, მათგან თვითდასაქმებულთა წილი შეადგენს 20%-ს, ხოლო პროფესიით დასაქმების მაჩვენებელი 49%-ს (საქართველოს

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, 2023). ამასთან, 2023 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, 2022 წლის კოჰორტაში გამოკითხულთა 40%-მა აღნიშნა, რომ ამჟამად მუშაობს პროფესიით, 12% კი თვითდასაქმებულია საკუთარი პროფესიით, ხოლო კურსდამთავრებულთა დასაქმების საერთო მაჩვენებელი 81%-ია. ამასთანავე, ძირითადი სექტორების დამსაქმებლებს შორის ჩატარებული გამოკითხვები მიუთითებს, რომ მათი 80% კმაყოფილია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა უნარებითა და კომპეტენციებით (საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია, 2024). თუმცა, დამსაქმებელთა ნაწილი უფრო სკეპტიკურად აფასებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა მზადყოფნას სამუშაო ძალისთვის.

მიუხედავად მიღწეული პროგრესისა, არსებობს დისბალანსი კურსდამთავრებულთა უნარებსა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს შორის; ეს შეუსაბამობა იწვევს პროფესიული განათლების კურსდამთავრებულთა შრომის ბაზარზე ტრანზიციის შეფერხებას და გამოცდილი, კვალიფიციური კადრების ნაკლებობას გარკვეულ ინდუსტრიებში. შეუსაბამობას ამძაფრებს სწრაფი ტექნოლოგიური პროგრესიც. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს, სამთავრობო უწყებებსა და კერძო სექტორის დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობის გაგრძელება არსებითია ამ გამოწვევების გადაჭრისა და პოზიტიური ტენდენციის შესანარჩუნებლად.

პროფესიული განათლების შრომის ბაზართან თავსებადობის უზრუნველსაყოფად სხვადასხვა მექანიზმები არსებობს, როგორიცაა:

- ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნა შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინების შესახებ;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ შრომის ბაზრის არსებული კვლევების ანალიზი;
- კომპეტენციებზე დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მომზადება შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად;
- საგანმანათლებლო პროგრამების ვალიდაცია დამსაქმებლებთან;
- პრაქტიკის ორგანიზება დამსაქმებლებთან სასწავლო პროცესში;
- კვალიფიკაციების მინიჭებისას დამსაქმებლების მონაწილეობა;
- კურსდამთავრებულთა კვლევა და შედეგების გათვალისწინება.

ზემოაღნიშნული მექანიზმები არსებობს, თუმცა მნიშვნელოვანია მათი გაძლიერება და საჭიროების შემთხვევაში გაფართოება. შრომის ბაზარსა და განათლების სექტორს შორის გაუმჯობესებული თანამშრომლობა ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტების უნარებისა და კომპეტენციების განვითარებას დამსაქმებლის მოთხოვნების შესაბამისად, თუმცა, საგულისხმოა, რომ ეს ნაკლებად აისახება უკეთეს დასაქმებაში (ETF, 2023).

1.5.1. ახალგაზრდების განათლებიდან შრომის ბაზარზე გასვლა და დასაქმების მხარდაჭერა

საქართველოში შრომის ბაზრის არსებული მდგომარეობა ადასტურებს ახალგაზრდების რთულ გადასვლას განათლებიდან დასაქმებაზე, რაც ხელს უწყობს უმუშევრობას ან მათი თვითრეალიზების შეფერხებას. საქართველოს დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ 2016 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით,

ახალგაზრდების დაახლოებით 40% პირველ სამსახურს სწავლის დასრულებიდან 6 თვის შემდეგ იწყებს. გარდამავალი პერიოდი საშუალოდ 1-2 წელი გრძელდება.

განათლებიდან შრომის ბაზარზე ტრანზიციის პროცესის ხელშემწყობი მექანიზმები (მათ შორის კარიერული კონსულტაცია) არ არის სათანადოდ განვითარებული ფორმალური განათლების ყველა საფეხურზე. საერთო ჯამში, ახალგაზრდობა არასაკმარისად არის ინფორმირებული შრომის ბაზრის მოთხოვნების შესახებ. ამასთან, სამუშაოს ძიებისა და დამსაქმებლებთან მოლაპარაკების უნარები ხშირად მწირია. შესაბამისად, მაღალია ახალგაზრდების რიცხვი, რომლებიც იმყოფებიან განათლების, ტრენინგისა და დასაქმების სისტემის მიღმა (ე.წ. NEET). ბოლო 4 წლის მანძილზე NEET მაჩვენებლები კლებადია (15-24 წლის ჯგუფში 28.5%-დან 21.05-მდე; 15-29 წლის ჯგუფში 35.1%-დან 26.9%-მდე) 2023 წელს NEETs მაჩვენებელი 15-24 ასაკობრივი ჯგუფისთვის იყო 21.0%, ხოლო 15-29 ასაკობრივი ჯგუფისთვის 26.9% (საქსტატი, 2023). NEET მაჩვენებელი (15-29 ასაკობრივი ჯგუფი) მნიშვნელოვნად მაღალია ქალებში (30.9%), მამაკაცებთან შედარებით (21.5%). ბოლო სამი წლის განმავლობაში პრაქტიკულად არ ყოფილა განსხვავება ქალისა და მამაკაცის NEET მაჩვენებლებს შორის 15-24 ასაკობრივი ჯგუფისთვის, რაც მიუთითებს იმაზე, რომ მნიშვნელოვნად მეტი ქალი ხდება NEET 24 წლის შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ქალებს განათლების მაღალი დონე აქვთ, მათი გადასვლა შრომის ბაზარზე კვლავ პრობლემურია (UN Women, 2021).

ფრიდრიხ ებერტის ფონდის და ახალგაზრდობის სააგენტოს მიერ, 2021 წელს ჩატარებული კვლევის „ახალგაზრდობის საჭიროებები და გამოწვევები მუნიციპალურ და რეგიონულ დონეზე" მიხედვით, ყველაზე სერიოზული გამოწვევა ახალგაზრდებისთვის რეგიონებსა და მუნიციპალიტეტებში დასაქმებაა.

პროფესიული განათლების კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევის თანახმად, დასაქმების ყველაზე მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა თბილისი, რაც დასაქმებულთა დაახლოებით 1/3 -ს შეადგენს. დასაქმების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთსა და მცხეთა-მთიანეთს.

საერთაშორისო გამოცდილებამ აჩვენა, რომ ახალგაზრდების სამუშაო ადგილების ნაკლებობისას, მნიშვნელოვანია ახალგაზრდული მეწარმეობის მხარდაჭერა. საქართველოში გარკვეული გამოცდილება არსებობს მეწარმეობის უნარების განვითარების კუთხით. ეს უკანასკნელი 2015 წლიდანაა ინტეგრირებული როგორც პროფესიული, ასევე ზოგადი განათლების სასწავლო პროგრამებში. მიუხედავად ამისა, თვითდასაქმების შესაძლებლობების განვითარების ხელშესაწყობად და ქვეყნის ეკონომიკაში ახალგაზრდების მონაწილეობის გასაძლიერებლად, მნიშვნელოვანია სამეწარმეო სწავლების სისტემის გაფართოება, პრაქტიკაზე ორიენტირებული სასწავლო შედეგების მისაღწევად.

შეჯამების სახით, უნდა აღნიშნოს, რომ პროფესიული განათლების მართვა ფოკუსირებულია ხარისხისა და კოორდინაციის გაუმჯობესებაზე. ამ მიმართულებით გარკვეული მექანიზმები და ჩარჩო არსებობს, თუმცა ამ პროცესში მნიშვნელოვანია პოლიტიკის ინიციატივების წარმატებით დანერგვა პარტნიორობის საფუძველზე, შესაძლებლობების, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების გაძლიერება.

პროფესიული განათლების იმიჯი და მიმზიდველობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა განსაკუთრებით მისი პრაქტიკული ღირებულების გამო, რაც პროფესიულ სტუდენტებს

აძლევს სამუშაოსთვის საჭირო უნარებსა და დასაქმების შესაძლებლობას. თუმცა მნიშვნელოვანია ამ ტენდენციის გაგრძელება და გაფართოება.

დამსაქმებლებს, ინდუსტრიის ექსპერტებსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობა უმჯობესდება, რაც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების რეგულარულად განახლებასა და კომპეტენციების განვითარებას მიმდინარე ტენდენციების შესაბამისად, თუმცა, საჭიროა, ძალისხმევის კოორდინირება, შესაძლებლობების გაუმჯობესება, რათა ეს პროგრესი აკუმულირდეს სისტემის დონეზე ან/და აისახოს უკეთეს დასაქმებაში.

პროფესიული განათლების სისტემის ინკლუზიურობის განვითარების მიმართულებით განხორციელებული ინტერვენციების მიუხედავად, ჯერ კიდევ არსებობს გამოწვევები, რაც ზღუდავს პროფესიული განათლების პოტენციალს.

პროფესიული განათლების რეფორმის მდგრადობა გადამწყვეტია სისტემის პროგრესის ეფექტურობის შესანარჩუნებლად. ამდენად, მნიშვნელოვანია უწყვეტი ინვესტიციები ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაში, პროფესიული განათლების მასწავლებელთა გადამზადებაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში, ტექნოლოგიურ პროგრესსა და ინოვაციებში და სხვა. ასევე საჭიროა, მექანიზმების გაუმჯობესება ცვალებად ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ ლანდშაფტებთან ადაპტაციისთვის.

2. სტრატეგიის ხედვა, მიზნები და ამოცანები

სტრატეგიის ხედვა:

თანამედროვე მოთხოვნებისა და გამოწვევების საპასუხოდ, ხარისხიანი პროფესიული განათლების მიღების, მთელი ცხოვრების მანძილზე კომპეტენციების განვითარებისა და თვითრეალიზების შესაძლებლობის უზრუნველყოფა, რაც უზრუნველყოფს ქვეყნის სოციოეკონომიკურ განვითარებასა და ევროინტეგრაციას.

სტრატეგიული მიზნები:

- **მიზანი 1: პროფესიული განათლების მოქნილი, მრავალფეროვანი და ინკლუზიური სერვისების უზრუნველყოფა;**
- **მიზანი 2: პროფესიული განათლების მიმწოდებლების უწყვეტი განვითარებისა და ავტონომიურობის ხელშეწყობა;**
- **მიზანი 3: პროფესიული უნარების ეკოსისტემის გარდაქმნა საჯარო და კერძო სექტორის გაზიარებული პასუხისმგებლობების გზით;**

<u>მიზანი 1. პროფესიული განათლების მოქნილი, მრავალფეროვანი და ინკლუზიური სერვისების უზრუნველყოფა</u>

აღნიშნული მიზანი აერთიანებს იმ სერვისებს და სისტემურ მიდგომებს, რომელთა განხორციელების გზითაც პროფესიული განათლება საქართველოში გახდება უფრო მეტად მოქნილი და საზოგადოებას შესთავაზებს მრავალფეროვან და ინკლუზიურ შესაძლებლობებს. აღნიშნული წარმოადგენს საზოგადოებისა და ეკონომიკის სტიმულირების მნიშვნელოვან საშუალებას. წინამდებარე სტრატეგიის ფარგლებში პირველი მიზნის რეალიზებისათვის გათვალისწინებულია შემდეგი კონკრეტული ამოცანები:

- **ამოცანა 1.1 - პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა რეგიონულ ჭრილში;**
- **ამოცანა 1.2 - მრავალფეროვანი საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზება ყველა სფეროში;**
- **ამოცანა 1.3 - საკვანძო კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობა;**
- **ამოცანა 1.4 -კარიერული და პიროვნული განვითარების მხარდამჭერი, მრავალფეროვანი და ინკლუზიური სერვისების განვითარება.**

ამოცანა 1.1. პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა რეგიონულ ჭრილში

პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის ერთ-ერთი გამოწვევაა გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა. მიუხედავად იმისა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო

დაწესებულებები ქვეყნის ყველა რეგიონშია ხელმისაწვდომი, არსებული სტრატეგია ითვალისწინებს პროფესიული განათლების შეთავაზებას ყველა მუნიციპალიტეტში. ამისათვის, პროფესიული განათლების მიმწოდებელთა ქსელის შემდგომი გაფართოება განხორციელდება საჯარო სკოლების რესურსის გამოყენებით. გაგრძელდება სკოლების გაძლიერება პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების დანერგვის მიმართულებით აზიის განვითარების ბანკისა და ევროკავშირის მხარდაჭერით. საგულისხმოა, რომ საჯარო სკოლების შეირჩევა უმეტესად ისეთ მუნიციპალიტეტებში, სადაც პროფესიული განათლება ნაკლებად არის ხელმისაწვდომი. აღნიშნული ხელს შეუწყობს სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის, მათ შორის ზრდასრული პირებისათვის, პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდას.

მეორე მხრივ, საჯარო სკოლები, მოსწავლეებს სკოლაშივე შესთავაზებენ ინტეგრირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. აღნიშნული დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებს საშუალებას მისცემს, სკოლაშივე, სრული ზოგადი განათლების პარალელურად, დაეუფლონ პროფესიას. მიუხედავად იმისა, რომ საჯარო სკოლებთან თანამშრომლობის გარკვეული პრაქტიკა უკვე არსებობს, პროფესიული პროგრამების დანერგვის მიზნით, საჯარო სკოლები საჭიროებენ მნიშვნელოვან მხარდაჭერას, როგორც მასწავლებელთა და ადმინისტრაციის პერსონალის გადამზადების, ასევე აღჭურვის მიმართულებით. აღნიშნული მხარდაჭერა განხორციელდება სამინისტროს, პროფესიული უნარების სააგენტოსა და დონორების ერთობლივი ძალისხმევით. საჯარო სკოლების მიერ პროფესიული განათლების დანერგვის ინიციატივა ხელს შეუწყობს პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის ზრდას, პროფესიული განათლების იმიჯის გაუმჯობესებას, დამამთავრებელი კლასის მოსწავლეების პროფესიულ განათლებაში შემოსვლასა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად კვალიფიციური სამუშაო ძალის მომზადებას.

ამოცანა 1.2. მრავალფეროვანი საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზება ყველა სფეროში

სტრატეგია ითვალისწინებს კვალიფიკაციების განვითარების ახალი პოლიტიკის დანერგვას, რომელიც ეფუძნება საუკეთესო ევროპულ გამოცდილებას. კვალიფიკაციების განვითარების ახალი პოლიტიკის თანახმად, პროფესიის სტანდარტი წარმოადგენს კონკრეტულ პროფესიასთან დაკავშირებული ამოცანებისა და მოვალეობების ერთობლიობას. მისი შემუშავების საფუძველია შესაბამისი დარგობრივი რუკის არსებობა, რომელშიც იდენტიფიცირებულია შესაბამის დარგში არსებული მოვალეობები. ხაზგასასმელია, რომ როგორც დარგობრივი რუკა, ასევე, პროფესიის სტანდარტი მჭიდრო კავშირში იქნება შრომის ბაზართან, შესაბამისად, მათი შემუშავება განხორციელდება დარგის ორგანიზებული ჩართულობით (დარგობრივი უნარების ორგანიზაციები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ბიზნეს გაერთიანებები, ბიზნეს ასოციაციები, ინდივიდუალური კომპანიები და სხვა). მაშასადამე, მთავარი სიახლე შეეხო ერთი მხრივ, კვალიფიკაციების განვითარების პროცესსა და მეთოდოლოგიას, ხოლო მეორე მხრივ - ჩართული მხარეების პასუხისმგებლობებსა და

როლებს. თუკი აქამდე პროფესიული კვალიფიკაციების განვითარებაზე პასუხისმგებელი იყო საგანმანათლებლო სფერო და კერძო სექტორი მონაწილეობდა ამ პროცესში, ახალი მიდგომით კვალიფიკაციების განვითარება დაეყრდნობა გაზიარებულ პასუხისმგებლობებს. საშუალოვადიან პერიოდში მოხდება პროფესიული კვალიფიკაციების გადახედვა ეკონომიკის ყველა სექტორში, რაც გულისხმობს არსებული კვალიფიკაციების განახლებას ან/და ახალი კვალიფიკაციების განვითარებას. ამასთან, სამინისტროს მიერ მხარდაჭერილი იქნება ახალი კვალიფიკაციების დანერგვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების დონეზე. კვალიფიკაციების განვითარების პროცესის მხარდასაჭერად და ჩართული მხარეების თანამშრომლობის ეფექტიანობის გასაზრდელად, სტრატეგია ითვალისწინებს ციფრული პლატფორმის შექმნა-განვითარებას.

კერძო სექტორის როლი იზრდება პროგრამების დანერგვის პროცესშიც. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ახალი მარეგულირებელი ჩარჩო ხელს უწყობს რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ახალი ფორმების განვითარებას, სხვადასხვა სექტორის სპეციფიურ საჭიროებებზე მორგებული სწავლების მოდელების დანერგვის გზით. უნარების ეკოსისტემაში ხელი შეეწყობა სასწავლო საწარმოების გაჩენას, რომლებიც საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთად ჩაერთვებიან დუალურ სწავლებაში, რომელიც პროფესიული განათლების სისტემაში პროფესიული პროგრამების განხორციელების ყველაზე ეფექტურ განხორციელების ფორმად არის მიჩნეული. სასწავლო საწარმოები, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთად, ასევე, წაახალისებენ პროფესიულ სტუდენტთა მარტივ გადასვლას განათლებიდან დასაქმებაში,

ეკონომიკის ყველა სექტორში გაიზრდება ახალი უნარების განვითარებისა და შრომის ბაზრის ტენდენციებთან სწრაფად ადაპტირების შესაძლებლობები. საგანმანათლებლო პროგრამების პარალელურად, გაიზრდება იმ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების მასშტაბი და სექტორული მრავალფეროვნება, რომელთა მიწოდებაშიც ხელშეწყობილი იქნება ბიზნეს სუბიექტების ჩართულობა. აღნიშნული ზრდასრულთა განათლების მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს და ამასთან, მოკლე დროში იძლევა შრომის ბაზრის არსებული და სამომავლო მოთხოვნების შესაბამისი უნარების განვითარების შესაძლებლობას. ასევე, ზრდასრულთათვის ფორმალიზებული პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების გარდა, მნიშვნელოვანია, გაიზარდოს არაფორმალური განათლების შესაძლებლობებიც, რადგან არაფორმალური განათლება, ფორმალურ განათლებასთან ერთად მნიშვნელოვან როლს ასრულებს ზრდასრულთათვის უნარების განვითარებაში. ამასთან, ზრდასრულთა განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიმართულებით მნიშნველოვანია ფორმალური და არაფორმალური განათლების მომწოდებლებს შორის კავშირების გაძლიერება ერთობლივი ძალისხმევისა და რესურსების მობილიზების გზით.

ეკონომიკისთვის კვალიფიციური სამუშაო ძალის მიწოდების მიზნით, ფორმალური პროფესიული განათლების ხარისხისა და მასშტაბის ზრდის პარალელურად, სტრატეგია

ითვალისწინებს არაფორმალური განათლების აღიარების სერვისის დანერგვას კიდევ უფრო სისტემური სახით. აღნიშნული გულისხმობს შესაბამის სექტორებთან კონსულტაციებს, საჭიროებების გამოვლენას, დასაქმებულთა/სამუშაოს მაძიებელთა ინფორმირების გაზრდას, აღიარების პროცესის დახვეწასა და სხვა. ასევე, გაიზრდება არაფორმალური განათლების აღიარების სერვისის მიმწოდებელთა წრე და აღიარების უფლების მოპოვებას შეძლებენ არასაგანმანათლებლო დაწესებულებებიც. გარდა ამისა, აღიარების პროცესის წარმართვა შესაძლებელი გახდება პროფესიის სტანდარტზე დაყრდნობით.

სტრატეგია ითვალისწინებს ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მასშტაბის მკვეთრ ზრდას, რომლებიც პროფესიასთან დაკავშირებული უნარების განვითარებასთან ერთად უზრუნველყოფენ ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების მიღწევასაც. ამ ტიპის პროგრამები, გარდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისა, შეთავაზებული იქნება საჯარო სკოლების საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის სკოლის ბაზაზევე. აღნიშნულის შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზრდება ახალგაზრდების მზაობა შემდგომი განათლებისა და პროფესიული საქმიანობისთვის.

განათლების შემდგომ საფეხურზე ტრანზიციისთვის შეიქმნება მექანიზმები, რომლებიც გაამყარებენ კავშირს პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს შორის, რაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს მისცემს შესაძლებლობას უზრუნველყონ პროფესიული განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება უმაღლესი განათლების საფეხურზე სწავლის გაგრძელების შემთხვევაში.

სტრატეგია ითვალისწინებს სახელმწიფო ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამის დანერგვას პროფესიული განათლების მიღების მიზნებისათვის. შეიქმნება სახელმწიფო ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამა, მისი დანერგვის მხარდამჭერი სისტემა და ამ მიმართულებით გაძლიერდება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაძლებლობები.

მრავალფეროვანი პროგრამების შეთავაზების პარალელურად, მუშაობა წარიმართება მათი მიწოდების მოქნილ მიდგომებზე, მაგალითად როგორიცაა დისტანციური სწავლების ელემენტების გამოყენება.

მრავალფეროვანი საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზება და მათი მიწოდების მოქნილი მიდგომები ხელს შეუწყობს სკოლიდან პროფესიულ განათლებაში გადასვლის მაჩვენებელის ზრდას (როგორც საბაზო განათლების, ასევე სრული ზოგადი განათლების მქონე პირებისთვის), ასევე განათლებიდან დასაქმებაში ტრანზიციას, როგორც ახალგაზრდების, ასევე ზრდასრულებისათვის.

ამოცანა 1.3. საკვანძო კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობა

სტრატეგია ითვალისწინებს ევროპის საბჭოს მიერ რეკომენდებული რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარების პოლიტიკის განახლებას თანამედროვე ეკონომიკის მოთხოვნებისა და ტენდენციების საპასუხოდ, რაც გულისხმობს, რომ შემუშავდება საკვანძო კომპეტენციების განვითარების კომპლექსური ხედვა, რომლშიც აისახება საკვანძო კომპეტენციების განვითარების მიდგომები გამჭოლად ან/და ცალკე კომპონენტად.

მნიშვნელოვანია პროფესიული სტუდენტების სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება და თანამედროვე მოქალაქისთვის საჭირო კომპეტენციების განვითარება, რათა მოახდინონ საკუთარი თავის რეალიზება და საზოგადოებაში იმოქმედონ პასუხისმგებლობითა და დემოკრატიული ღირებულებებით. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა კულტურული ცნობიერებისა და გამომხატველობის, თანასწორობის, მათ შორის გენდერული თანასწორობისა და მდგრადობის კომპეტენციების განვითარებას. გარდა ამისა, მწვანე კომპეტენციების განვითარება საწყის ეტაპზე მოხდება მწვანე ეკონომიკასთან დაკავშირებულ სექტორებში. სამეწარმეო განათლების პარალელურად, დაინერგება სამეწარმეო იდეების მხარდამჭერი მექანიზმები, რაც ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულთა წარმატებულ ტრანზიციას სამეწარმეო საქმიანობაში. სტრატეგია ითვალისწინებს უცხოური ენების სწავლების გაძლიერებას პროფესიულ სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა საერთაშორისო მობილობის და ადგილობრივ თუ საერთაშორისო დონეზე კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით.

ციფრული უნარების (DigiComp) გაუმჯობესებისა და განვითარების, ასევე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სწავლების ხელშეწყობის მიზნით, სტრატეგიის ფარგლებში დაგეგმილია ტექნოლოგიებით გამდიდრებული სწავლების ხელშეწყობა. ეს უკანასკნელი მოიცავს როგორც ელექტრონული სწავლების მხარდამჭერი პლატფორმის, ასევე, შესაბამისი რესურსების შემუშავებასა და ციფრული უნარების განვითარებას.

სტრატეგია ხაზს უსვამს საკვანძო კომპეტენციების განვითარების მნიშვნელობას განსხვავებული გზებით. ფორმალური განათლების ფარგლებში დაგეგმილი შედეგების მიღწევას ხელს შეუწყობს არაფორმალური, ე.წ. ექსტრაკურიკულური აქტივობები. ასევე, საკვანძო კომპეტენციების მნიშვნელოვანი ბერკეტი გახდება, საზაფხულო ბანაკები, რომელთა ორგანიზებაც უშუალოდ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სივრცეში განხორციელდება და მონაწილეებს შესთავაზებს მრავალფეროვან აქტივობებს სამოქალაქო ცნობიერების, ინტეგრაციისა და საჭირო კომპეტენციების განვითარების მიზნით.

ამოცანა 1.4. კარიერული და პიროვნული განვითარების მხარდამჭერი, მრავალფეროვანი და ინკლუზიური სერვისების განვითარება

პროფესიული სტუდენტებისა და პოტენციური სტუდენტების კარიერული (დასაქმება/თვითდასაქმება) და პიროვნული განვითარების ხელშესაწყობად, დამტკიცდება ფორმალური განათლების სამივე საფეხურზე პროფესიული ორიენტაციის, კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის სტრატეგია. აღნიშნული სტრატეგია ხელს შეუწყობს ყველა პირის თანაბარ წვდომას კარიერული მართვის სერვისებზე, ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებასა და მათი შესაძლებლობების რეალიზებას სწრაფად ცვალებად სოციალურ და ეკონომიკურ გარემოში. ამასთან, განვითარდება კარიერის მართვის ახალი, საორიენტაციო სერვისი, სსსმ და შშმ პირებისათვის, რომელიც პირთა ინტერესებზე, გენდერული თავისებურებების გათვალისწინებით მათ შესაძლებლობებსა და ინდივიდუალურ საჭიროებებზე იქნება მორგებული და დაეხმარება სსსმ და შშმ პირებს ინფორმირებული პროფესიული არჩევანის მიღებაში და პროფესიული განათლების საფეხურზე ტრანზიციაში.

შემუშავდება და დაინერგება კარიერული განათლების პროგრამა, სისტემური და სტრუქტურირებული ფორმით პროფესიული სტუდენტების შრომის ბაზარზე ტრანზიციის მხარდაჭერის მიზნით. ასევე განვითარდება სტუდენტთა დასაქმების მხარდამჭერი მექანიზმები.

სტრატეგია ხაზს უსვამს პროფესიული განათლების სფეროს ზოგადსაგანმანათლებლო სფეროსთან თანამშრომლობის მნიშვნელობას. გაფართოვდება საორიენტაციო პროგრამები/კურსები სკოლის მოსწავლეებისათვის, რაც ხელს შეუწყობს მათ მიერ ინფორმირებული არჩევანის გაკეთებას და სამომავლო კარიერულ წინსვლისთვის პრაქტიკული გამოცდილების მიღებას. ასევე, ტექნოლოგიების გამოყენებით გაიზრდება ცალკეული პროფესიების შესახებ ახალგაზრდების ინფორმირების შესაძლებლობები.

სტრატეგიის ინტერვენციების შედეგად შემცირდება პროფესიულ სტუდენტთა მიერ სწავლის მიტოვების მაჩვენებელი და გაუმჯობესდება მათი მზაობა დასაქმებისთვის.

წინამდებარე სტრატეგია აღიარებს ინკლუზიურობის ფართო გაგებას „არავინ მიღმა“ პრინციპის გათვალისწინებით და ამ მიმართულებით ეყრდნობა, როგორც ეროვნულ დონეზე მიღებულ გამოცდილებას, ასევე საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას, რაც გულისხმობს სხვადასხვა დამატებითი და სპეციალური საჭიროებების მქონე ჯგუფებსა და ინდივიდებზე მორგებული სერვისების გაძლიერებას. სტრატეგიის მიზნებისთვის, დამატებით საჭიროებების მქონე ჯგუფებს წარმოადგენენ: სოციალურად დაუცველი პირები, შშმ/სსსმ პირები, ქალები (განსაკუთრებით, სოფლად მცხოვრები), სწავლის/ტრენინგის და დასაქმების მიღმა მყოფი ახალგაზრდები (NEET), ეთნიკურ უმცირესობათა თემის წარმომადგენლები. ამ ჭრილში, პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობისა და კარიერული და პიროვნული განვითარების უზრუნველყოფისთვის, სტრატეგია ფოკუსირებულია სოციალური

ინტეგრაციის გაძლიერებულ მხარდაჭერაზე დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის, კერძო სექტორთან აქტიური თანამშრომლობით.

<u>მიზანი 2: პროფესიული განათლების მიმწოდებლების უწყვეტი განვითარებისა და ავტონომიურობის ხელშეწყობა</u>

აღნიშნული მიზანი ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების უწყვეტ განვითარებას, რათა სისტემურ დონეზე შექმნილი ყველა შესაძლებლობა მათი მხრიდან სრულყოფილად და ხარისხიანად იქნეს შეთავაზებული პროფესიული განათლების ბენეფიციარებისათვის. ამასთან, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტონომიურობისა და მათი კონკურენტუნარიანობის გაზრდა წარმოადგენს ზემოაღნიშნული მიზნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს. წინამდებარე სტრატეგიის ფარგლებში მეორე მიზნის რეალიზებისათვის გათვალისწინებულია შემდეგი კონკრეტული ამოცანები:

ამოცანა 2.1. - პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მართვის მოქნილი მოდელების დანერგვის ხელშეწყობა;
ამოცანა 2.2. - პროფესიული განათლების მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარება;
ამოცანა 2.3. - საგანმანათლებლო გარემოს ეფექტურობის გაზრდა;
ამოცანა 2.4. - საკვანძო კომპეტენციების განვითარების ინსტიტუციური მხარდაჭერა;
ამოცანა 2.5. - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების დონეზე ინკლუზიური სერვისების განვითარება.

ამოცანა 2.1. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მართვის მოქნილი მოდელების დანერგვის ხელშეწყობა

რეფორმის ახალი ეტაპის წარმატება მეტწილად უკავშირდება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ტრანსფორმაციას და მათ ორიენტაციას ინოვაციებსა და უწყვეტ განვითარებაზე. ავტორიზაციის სტანდარტებთან სრული შესაბამისობის მისაღწევად, ასევე, საერთაშორისო სტანდარტებთან თავსებადობისთვის, აუცილებელ პირობას წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების დამოუკიდებლობის ხარისხის ზრდა და მათი ორგანიზაციული, მათ შორის მეწარმეობრივი კულტურის განვითარება.

სტრატეგია ითვალისწინებს პროფესიული განათლების დაფინანსების ახალი მოდელის ამოქმედებას, რომელიც გაითვალისწინებს რესურსების განაწილების მიღწევებზე/შედეგებზე დაფუძნებულ პრინციპს, რაც ხელს შეუწყობს დაწესებულებების კონკურენტუნარიანობის გაზრდას. სტრატეგია ასევე ფოკუსირებულია დაფინანსების წყაროების დივერსიფიცირებაზე.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ეკონომიკური მდგრადობის მხარდასაჭერად, სტრატეგია ფოკუსირებულია დაწესებულებების ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების მხარდაჭერაზე. მოცემულ კონტექსტში, ეკონომიკური საქმიანობა ითვალისწინებს სასწავლო პროცესში შექმნილი ან სხვა კომერციული საქმიანობის ფარგლებში წარმოებული პროდუქციის/მომსახურების რეალიზაციას, რომლის შედეგად მიღებული შემოსავალი განაპირობებს: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ფინანსურს მდგრადობას, სასწავლო პროცესის განვითარებას, სასწავლო პროცესის დასაფინანსებლად დამატებითი სახსრების მოპოვებასა და შექმნილი პროდუქციის/გაწეული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას. აღნიშნული ხელს შეუწყობს დაწესებულებების მიზნების რეალიზებას სხვადასხვა მიმართულებით. ამ მიზნით, ასევე გადაიხედება არსებული რეგულაციები და სამართლებრივი ჩარჩო.

რეფორმის წარმატებისთვის საკვანძო მნიშვნელობა აქვს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციურ განვითარებასა და ეფექტიან მართვას. გარდა იმისა, რომ სტრატეგიის ფარგლებში ხელი შეეწყობა დაწესებულებების მართვისა და ორგანიზაციული განვითარების ინდივიდუალური მოდელების ჩამოყალიბებას, იმ ეკონომიკური, რეგიონული, სოციალური და სხვა კონტექსტების გათვალისწინებით, რომელშიც მათ უწევთ საქმიანობა, ასევე მნიშვნელოვანი აქცენტი გაკეთდება დაწესებულებების ხელმძღვანელთა კვალიფიკაციაზე, რომელიც დაეყრდნობა შესაბამის სტანდარტს.

სტრატეგია ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ჰოლისტურ განვითარებას ქვეყნის ეკონომიკური/დარგობრივი და რეგიონული პრიორიტეტების შესაბამისად. ამ მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანია, რომ დარგობრივი ეკონომიკური კონტექსტი ასახული იყოს, როგორც პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტრატეგიულ ხედვასა და გეგმაში, ასევე მათი მართვისა და ფუნქციონირების სქემებში. სტრატეგია ფოკუსირებულია ადამიანური რესურსის შესაძლებლობების განვითარებაზე არსებული კვლევების ანალიზის მიმართულებით, რათა კოლეჯმა შეძლონ, როგორც ლოკალური შრომის ბაზრის, ასევე სხვა იმ ფაქტორების შეფასება, რომლებიც გავლენას ახდენენ მის ეფექტიან ფუნქციონირებაზე.

სექტორული და რეგიონული განვითარების ერთ-ერთ მძლავრ ინსტრუმენტს წარმოადგენს ე.წ. „უნარების ჰაბი“, რომელშიც თავმოყრილია ყველა საჭირო რესურსი სპეციფიური სერვისების მისაწოდებლად და მხარდამჭერი აქტივობების განსახორციელებლად, როგორც პროფესიული სტუდენტებისთვის/პოტენციური სტუდენტებისთვის, ასევე სხვა რეგიონული აქტორებისთვის (კერძო სექტორი, საგანმანათლებლო დაწესებულებები, არაფორმალური განათლების მიმწოდებლები და სხვა).

სტრატეგიის ფარგლებში ხელი შეეწყობა შერჩეული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაზაზე ეტაპობრივად უნარების ჰაბების ჩამოყალიბებას, რაც ხელს შეუწყობს მათ სივრცეში ახალი სერვისების ინსტიტუციონალიზაციას. ამავე დროს, უნარების

ჰაბები იქნებიან სფეროს სიახლეების, ინკლუზიური და ინოვაციური სასწავლო მეთოდებისა და ცოდნის რესურსცენტრები.

სასწავლო პროცესში ინოვაციებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას, უნარების ჰაბებთან ერთად, ხელს შეუწყობს მაღალტექნოლოგიური დარგობრივი „ექსელენს ცენტრები" (excellence centers). „ექსელენს ცენტრების" კონცეფცია გულისხმობს იმგვარი საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარებას, რომელიც კონკრეტულ დარგში მომავლის უნარების განვითარების საუკეთესო პრაქტიკის შექმნაზეა ორიენტირებული და ამას აღწევს სექტორთან მჭიდრო კავშირებით, მაღალტექნოლოგიური სასწავლო გარემოთი, ინოვაციური მიდგომებით, ასევე დარგის დინამიკისა და საერთაშორისო ტენდენციების გათვალისწინებით. „ექსელენს ცენტრის/ცენტრების" განვითარება მოხდება მზარდ სექტორებში, მაგალითად როგორიცა მშენებლობა, ლოგისტიკა, ტურიზმი და ღვინის წარმოება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სამინისტროს მიერ ხელი შეეწყობა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამონაწილეობითი მართვის მოდელების დანერგვას და ამ ფორმით ბიზნესის შემოყვანას უნარების ეკოსისტემაში. ინიციატივა ითვალისწინებს „საჯარო შეთავაზებას კერძო სექტორისთვის", რომლის ფარგლებშიც ნებისმიერ დაინტერესებულ კომპანიას ეძლევა შესაძლებლობა წარმოადგინოს ხედვა საჯარო-კერძო პარტნიორობის შესახებ, რომელიც შესაძლოა განხორციელდეს პროფესიული განათლების პროვაიდერის თანადაფუძნების/თანაინვესტირების, მართვაში ნაწილობრივ ან/და სრულად გადაცემის ან/და ინფრასტრუქტურის პირობით სარგებლობაში გადაცემის მიმართულებით. აღნიშნული ხელს შეუწყობს პროფესიული განათლების მიმწოდებლების დარგთან თანხვედრაში განვითარებას და პროფესიული განათლების უკეთ მორგებას კერძო სექტორის ინტერესებზე.

ზემოაღნიშნული ინტერვენციები პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს გარდაქმნის ხარისხზე ორიენტირებულ, ინოვაციურ ორგანიზაციებად, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ქვეყნის და რეგიონის უზრუნველყოფას კვალიფიციური სამუშაო ძალით.

ამოცანა 2.2. პროფესიული განათლების მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარება

პროფესიული განათლების მასწავლებლების მოტივირებისა და მათი პროფესიული განვითარების საკითხს სტრატეგია განიხილავს ჰოლისტურად, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების განვითარების ჭრილში. სტრატეგიის ფარგლებში, განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება დაწესებულების ბაზაზე პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და ზოგადად, ადამიანური რესურსების დაგეგმვისა და განვითარების შიდა სისტემების შექმნის მხარდაჭერაზე. აღნიშნული სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის მოხდება ელექტრონული საშუალებების გამოყენება.

საგანმანათლებლო პროცესში კერძო სექტორის მონაწილეობის მზარდი ტენდენცია, კიდევ უფრო ზრდის მასწავლებელსა და დარგს შორის უფრო მჭიდრო თანამშრომლობის საჭიროებას. სექტორის შიგნით, სფეროს პრაქტიკოსებსა და მასწავლებლებს შორის სინერგიის მიღწევისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, გათვალისწინებულია მასწავლებელთა დარგობრივი ქსელების გაძლიერება. ქსელები გააერთიანებს ერთი დარგის/მიმართულების პროგრამათა მასწავლებლებს და შექმნის პლატფორმას კოლეგებს შორის ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებისთვის, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო სივრცეში. ქსელები გააძლიერებს მასწავლებლის როლს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, და დააახლოებს მასწავლებლებს დარგთან და გაამყარებს ბიზნესის ნდობას დაწესებულებებისადმი.

გარდა ზემოაღნიშნულისა, პროფესიულ განათლებაში კერძო სექტორის როლის ზრდა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სისტემაში პრაქტიკოსი პროფესიული განათლების მასწავლებლების შემოსვლას.

ყურადღება გამახვილდება ასევე ინსტრუქტორ-მასწავლებელთა შესაძლებლობების გაძლიერებაზე და სხვა მასწავლებლებთან მათი დაახლოებისა და კოოპერაციის ხელშეწყობაზე. ასევე, ინსტრუქტორების მომზადების მიმართულებით მნიშვნელოვნად გაიზრდება ა(ა)იპ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის როლი.

სტრატეგია მიზნად ისახავს ასევე, პროფესიული განათლების მასწავლებლის მოსამზადებელი პროგრამის შეთავაზებას სხვადასხვა მექანიზმებით, მათ შორის პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების მასწავლებელთათვის სპეციალიზებული ტრენინგების შეთავაზებას ზრდასრულთა განათლების მეთოდოლოგიის საკითხებზე.

მნიშვნელოვანია პროფესიული განათლების მასწავლებლების განვითარების მიზნით საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება და სასწავლო ვიზიტები ევროპის წამყვან პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში. პროფესიული განათლების მასწავლებელთა საერთაშორისო სასწავლო ვიზიტებში მონაწილეობის მიზნით შეიქმნება სისტემური მიდგომები, რაც სახელმწიფოს მხრიდან პროფესიული განათლების მასწავლებლების უცხო ქვეყნის პარტნიორ ორგანიზაციებში სასწავლო ვიზიტებს და პრაქტიკებს შეუწყობს ხელს.

საერთაშორისო პრაქტიკების გაზიარების მიმართულებით პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ აქტიურად იქნება გამოყენებული საერთაშორისო ექსპერტთა ვიზიტების შესაძლებლობა, რომელიც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესისა და სწავლების მეთოდების გაუმჯობესებას.

ამოცანა 2.3. საგანმანათლებლო გარემოს ეფექტურობის გაზრდა

სტრატეგია აქცენტირებულია მაღალი ხარისხის პროფესიული განათლების მიწოდების პროცესში, ფიზიკური და არამატერიალური სასწავლო გარემოს მოწყობის მნიშვნელობაზე.

ტექნოლოგიის მეშვეობით გაიზრდება კოლეჯების ინფრასტრუქტურულ განვითარებასთან დაკავშირებული პროცესების ეფექტიანობა. აქცენტი გაკეთდება სახელოსნოებისა და აღჭურვილობის მოდერნიზებასა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაზე.

რეალიზდება ფორმალურ პროფესიულ განათლებაში დისტანციური სწავლების მიმართულებით შექმნილი საკანონმდებლო საფუძველი, რაც კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს პროფესიული პროგრამების განხორციელებას მსმენელებზე და პროფესიულ სტუდენტებზე ორიენტირებული მიდგომებით. მოხდება პროგრამების შეფასება და პროგრამის იმ კომპონენტების იდენტიფიცირება, რომელთა დისტანციურად განხორციელებაც ეფექტურად წარიმართება. განხორციელდება დაწესებულებების მხარდაჭერა დისტანციური სწავლების მიმართულებით. სწავლების დისტანციური ფორმის გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების პროცესში, ვინაიდან აღნიშნული ხელს შეუწყობს პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის კიდევ უფრო მეტად გაზრდას ზრდასრული მოსახლეობისთვის.

სტრატეგიის ფარგლებში ხაზგასასმელია ტექნოლოგიებით გამდიდრებული საგანმანათლებლო პროცესის ხელშეწყობის მნიშვნელობა. ამისათვის, გაძლიერდება სპეციალური ელექტრონული პლატფორმა (https://lms.geoskills.ge/), რომელიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროცესის წარმართვას თვითმართვადი და შერეული სწავლის პრინციპით. პლატფორმაზე განთავსდება მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსები. ამასთან, ხელი შეეწყობა ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსების, მათ შორის სახელმძღვანელოებისა და გზამკვლევების შემუშავებას დარგის ექსპერტთა და მასწავლებელთა კოლაბორაციის გზით.

ამოცანა 2.4. საკვანძო კომპეტენციების განვითარების ინსტიტუციური მხარდაჭერა

სტრატეგია განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს პროფესიული განათლების ფარგლებში დარგობრივ კომპეტენციებთან ერთად საკვანძო, ე.წ. ტრანსფერული კომპეტენციების მნიშვნელობაზე და მათი განვითარების მრავალფეროვან გზებზე. დაწესებულებების მხრიდან ხელი შეეწყობა გარდა პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისა, ასევე საკვანძო კომპეტენციების განვითარებას, ექსტრაკურიკულური აქტივობების გზით, როგორიცაა ასაკობრივ და გენდერულ სეგმენტზე მორგებული საკლუბო, გუნდური თუ ინდივიდუალური აქტივობების ორგანიზება. ამ გზით პროფესიული სტუდენტების /პოტენციური პროფესიული სტუდენტების შემეცნების პროცესი უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო გახდება, რაც მათ სოციალური და სხვა საკვანძო კომპეტენციების განვითარებასთან ერთად, დარგობრივი უნარების უკეთ გამომუშავებაშიც შეუწყობს ხელს.

სწავლების თანამედროვე მიდგომების დანერგვით, მათ შორის ე.წ. „შატლის“ მეთოდის გამოყენებით, რომელიც აქცენტირებულია სოციალური ინკლუზიის, მონაწილეების

დასაქმების/თვითდასაქმების შესაძლებლობების გაზრდისა და მონაწილეების სამეწარმეო/პროფესიული უნარების განვითარების ხელშეწყობაზე, პროფესიულ სტუდენტებს მიეცემათ შესაძლებლობა განივითარონ მეწარმეობრივი აზროვნება, განივითარონ პრობლემის გადაჭრისა და სხვა უნარები და მიიღონ მხარდაჭერა სამეწარმეო პროექტის დამოუკიდებლად შექმნისას, იდეის დაბადებიდან - ბიზნესგეგმის წარდგენამდე.

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრიათ, პროფესიულ სტუდენტებს დაეხმარონ ფუნდამენტური დემოკრატიული ღირებულებების გააზრებასა და გაცნობიერებაში. ამასთან ერთად, მათ გარდამტეხი როლის შესრულება შეუძლიათ დარგის მომავალი პროფესიონალების მხარდაჭერის მიმართულებით, როგორც პროფესიული ეთიკის ნორმების ათვისებაში, ასევე გარემოსთან მიმართებით მათი როლის, მდგრადობის კონცეფციისა და მწვანე ტრანსფორმაციის მნიშვნელობის გააზრებაში.

ინტერნაციონალიზაციის მზარდი ტენდენცია პროფესიული განათლების სფეროში საჭიროებს მეტ ძალისხმევას საერთაშორისო მობილობისათვის პროფესიულ სტუდენტთა მომზადების მიმართულებით. შესაბამისად, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა უცხოური ენების სწავლების გაძლიერებას პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ამასთან, განვითარდება უცხო ენის მასწავლებელთა შესაძლებლობები.

სტრატეგია ითვალისწინებს გაციფრულების ტენდენციას და ორიენტირებულია ტექნოლოგიების გამოყენებაზე, აქტივობათა ეფექტიანობის და განვითარებული სერვისების ხელმისაწვდომობის მაქსიმალურად გაზრდაზე. პროფესიულ სტუდენტებს მიეცემათ შესაძლებლობა, გამჭოლად განივითარონ ციფრული უნარები სასწავლო პროცესში თუ სხვა დამხმარე სერვისების მიღებისას, მათივე ბაზაზე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ შეთავაზებული ტექნოლოგიების საფუძველზე.

პროფესიული სტუდენტების არაერთგვაროვანი წინარე გამოცდილებისა და ასაკობრივი მრავალფეროვნების, ასევე გენდერული ნიშნის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია ხელი შეეწყოს მათ ინტეგრირებას სასწავლო პროცესში და გაჩნდეს ინდივიდუალური მხარდაჭერის შესაძლებლობა ყველა პროფესიული სტუდენტისთვის. აღნიშნული სერვისით ამ ეტაპზე მხოლოდ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირები სარგებლობენ, თუმცა სხვადასხვა კვლევა ცხადყოფს ამგვარი მხარდაჭერის გაფართოების აუცილებლობას.

ამოცანა 2.5. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების დონეზე ინკლუზიური სერვისების განვითარება

უწყვეტი განათლებისა და განვითარების პრინციპის წარმატებით განხორციელებისთვის, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წინაპირობას უწყვეტი კარიერული კონსულტირების ხარისხიანი სერვისის არსებობა წარმოადგენს. პროფესიული განათლების მსურველი ან მასში ჩართული ადამიანების განსხვავებული მოლოდინებისა და გამოცდილების გათვალისწინებით,

მნიშვნელოვანია დიფერენცირებული მიდგომების დანერგვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების დონეზე ფორმალური განათლების სამივე საფეხურზე პროფესიული ორიენტაციის, კარიერული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის სტრატეგიის შესაბამისად.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა კარიერის მართვის სპეციალისტების მხარდაჭერას. ხელი შეეწყობა მათი პროფესიული ქსელის გააქტიურებას და მათი ინოვაციური ინიციატივების დანერგვას. მათივე მონაწილეობით შემუშავდება მრავალფეროვანი დამხმარე რესურსები.

პროფესიულ განათლებაში ინკლუზიურობის ცნების გაფართოებასთან ერთად, განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა თავად საგანმანათლებლო დაწესებულების ინკლუზიური განვითარების საჭიროებამ. ამ მიმართულებით დაიგეგმება ასევე ადმინისტრაციისა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა გაძლიერება, მათ შორის გენდერული თანასწორობის კომპეტენციების განვითარების მიზნით. შემუშავდება დამხმარე რესურსები ინკლუზიური განვითარების სერვისებში ჩართული სპეციალისტებისთვის.

მნიშვნელოვანია პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა გააძლიერონ მუშობა სწავლის მიტოვების რისკების გამოვლენის მიმართულებით, რათა დამატებითი საჭიროების მქონე პირების სწავლის მიტოვების რისკები მაქსიმალურად იქნეს შემცირებული დაწესებულებების მხრიდან მოქნილი მიდგომების შეთავაზებით.

<u>მიზანი 3: პროფესიული უნარების ეკოსისტემის გარდაქმნა საჯარო და კერძო სექტორის გაზიარებული პასუხისმგებლობების გზით</u>

აღნიშნული მიზნის ფარგლებში აქცენტირებულია ეფექტიანი პროფესიული განათლების სისტემის განვითარება საჯარო-კერძო პარტნიორობით, დაინტერესებულ მხარეებს შორის ანგარიშვალდებულების გაძლიერებისა და რესურსების მობილიზების გზით. მთავარი პრინციპი, რომელიც პროფესიული განათლების მართვისა და განვითარების პროცესს წარმართავს, არის თანამონაწილეობა ქვეყნის ადამიანური კაპიტალის განვითარების პროცესში. ამასთან, მოცემული მიზანი აერთიანებს პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის, პოპულარიზაციის, ინტერნაციონალიზაციისა და დაფინანსების საკითხებს. წინამდებარე სტრატეგიის ფარგლებში მესამე მიზნის რეალიზებისათვის გათვალისწინებულია შემდეგი კონკრეტული ამოცანები:

- **ამოცანა 3.1. - პროფესიული განათლების პოლიტიკის შექმნასა და განხორციელებაზე პასუხისმგებლობის გაზიარება საჯარო-კერძო სექტორებს შორის;**
- **ამოცანა 3.2. - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება;**
- **ამოცანა 3.3. - პროფესიული განათლების პოპულარიზაციის ხელშეწყობა;**
- **ამოცანა 3.4.- პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა;**

- **ამოცანა 3.5. - პროფესიული განათლების დაფინანსება.**

ამოცანა 3.1. პროფესიული განათლების პოლიტიკის შექმნასა და განხორციელებაზე პასუხისმგებლობის გაზიარება საჯარო-კერძო სექტორებს შორის

პროფესიული განათლების სისტემის უნარების ეკოსისტემად გარდაქმნა გულისხმობს მრავალი აქტორის ჩართულობით, ახალი როლების გაჩენით, პასუხისმგებლობების გადანაწილებითა და მხარეთა მჭიდრო კოოპერაციის გზით ქვეყანაში უნარების გაძლიერების მრავალფეროვანი შესაძლებლობების შექმნას. ამგვარ მოწყობაში განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება კერძო სექტორის მონაწილეობაზე, რომელიც შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს, დარგობრივი უნარების ორგანიზაციების, ბიზნეს გაერთიანებების, ბიზნეს ასოციაციების თუ ინდივიდუალური კომპანიების სახით.

პროფესიული განათლების რეფორმის პროცესში თანამონაწილეობითი მართვის უზრუნველსაყოფად, კერძო და საჯარო სექტორების თანამშრომლობით შექმნილი პროფესიული უნარების სააგენტო ხელს შეუწყობს უნარების მოქნილი ეკოსისტემის განვითარებას. რეფორმის უმთავრეს საყრდენს წარმოადგენს პროფესიული განათლების სისტემაში გაზიარებული პასუხისმგებლობით შემოსვლა კერძო სექტორის სხვადასხვა ორგანიზაციული ფორმით. აღნიშნული ხელს შეუწყობს პროფესიული კვალიფიკაციების განვითარებას, ასევე სამუშაოზე დაფუძნებული სხვადასხვა მოდელის დანერგვას, სწავლების ხარისხისა და სხვადასხვა პროფესიის იმიჯის გაუმჯობესებას.

კერძო სექტორის ორგანიზებული ჩართულობის მიმართულებით ერთ-ერთ საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას წარმოადგენს დარგობრივი უნარების ორგანიზაციების არსებობა, რომელიც შესაძლოა მიჩნეული იქნეს კონკრეტული დარგის ქოლგა ორგანიზაციად.

სტრატეგიის ფარგლებში, დარგობრივი ორგანიზაციების საინიციატივო ჯგუფების განვითარების პარალელურად, იმისათვის რომ პროფესიული განათლების მართვის პროცესი იყოს გაზიარებულ პასუხისმგებლობებზე დაფუძნებული, გაგრძელდება საჯარო-კერძო თანამშრომლობის სხვადსხვა ფორმების გამოყენება (თანამშრომლობა ბიზნეს გაერთიანებებთან, ბიზნეს ასოციაციებთან, ინდივიდუალური კომპანიებთან, სასწავლო საწარმოებთან თუ სხვა), რათა პროფესიული კვალიფიკაციების შემუშავების, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების განვითარების, სწავლების ხარისხისა და პროფესიული განათლების იმიჯის გაუმჯობესების პროცესები განხორციელდეს კერძო სექტორთან პასუხისმგებლობების გადანაწილების გზით. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის სინერგიული ეფექტი, რაც კერძო სექტორისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლობის შედეგადაა მოსალოდნელი. შესაბამისად, სტრატეგია ითვალისწინებს „საჯარო შეთავაზებას კერძო სექტორისთვის“, რაც გულისხმობს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამონაწილეობითი მართვის მოდელების დანერგვას

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო-კერძო პარტნიორობის ფარგლებში მართვის, დაწესებულების რომელიმე მიმართულების კერძო სექტორისათვის მართვაში გადაცემის ან/და სხვა ფორმით, კერძო სექტორის მიერ წარმოდგენილი რელევანტური ინიციატივების შესაბამისად. აღნიშნული ხელს შეუწყობს პროფესიული განათლების უკეთ მორგებას კერძო სექტორის ინტერესებზე. შედეგად გაუმჯობესდება სასწავლო პროცესის ხარისხი, გაიზრდება კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი და პროფესიულ განათლებაზე მოთხოვნა.

სტრატეგია ასევე, ხაზს უსვამს, სხვადასხვა სახელმწიფო და არასამთავრობო უწყებებს შორის დიალოგისა და თანამშრომლობის მნიშვნელობას, უნარებთან დაკავშირებულ საკითხებში.

ამოცანა 3.2. პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება

პროფესიული განათლების სფეროს ეფექტური და ხარისხიანი სისტემის განვითარება საჯარო-კერძო პარტნიორობის, ანგარიშვალდებულების გაძლიერებისა და რესურსების მობილიზაციის გზით, წარმოადგენს მნიშვნელოვან სტრატეგიულ მიზანს, როგორც სახელმწიფოსთვის, ასევე, კერძო სექტორისთვის. ამ კონტექსტში მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს პროფესიული განათლების მიმწოდებელთა ქსელის ეფექტურობის, ასევე, სწავლისა თუ სხვა მომსახურების ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან, როგორც პროფესიული განათლების ხარისხის გარე შეფასების მექანიზმთან სრული შესაბამისობის უზრუნველსაყოფად სასწავლებლებისთვის შეთავაზებული იქნება მხარდამჭერი მექანიზმები. დაიხვეწება ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ადმინისტრირებული პროცესი , გაძლიერდება ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში ჩართული ადამიანური რესურსის შესაძლებლობები.

საშუალოვადიან პერიოდში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი ყველა საგანმანათლებლო დაწესებულება იფუნქციონირებს ახალი სტანდარტებთან სრულ შესაბამისობაში, რაც, ამავე დროს, შეესაბამება პროფესიული განათლების ხარისხის ევროპულ სარეკომენდაციო ჩარჩოს და ინდიკატორებს (EQAVET). განხორციელდება EQAVET ინდიკატორების ინტეგრირება ავტორიზაციის სტანდარტებში და განმახორციელებლების შესაძლებლობების გაძლიერება განახლებული სტანდარტებით ხარისხის შიდა და გარე შეფასების დანერგვის დასაწყებად.

განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების თვითშეფასებაზე და ამ პროცესის გაციფრულებაზე. ერთ-ერთი უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს დაწესებულებებში ხარისხის განვითარების კულტურის გაძლიერება. ხარისხზე ორიენტირებული კულტურისა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკის დანერგვის მიზნით, გაგრძელდება

თანამშრომლობითი ვიზიტების მექანიზმის დანერგვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებებისათვის.

დაინერგება ხარისხის უზრუნველყოფის კიდევ ერთი მექანიზმი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება და უკვე დანერგილი პროგრამების განხორციელების შეფასება.

კვალიფიკაციების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, განხორციელდება პროფესიულ სტუდენტთა საკვალიფიკაციო გამოცდით შეფასება, რაც წარმატებულ საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით, საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს ბიზნესსა და განათლების სექტორებს შორის ნდობის გამყარებისა და სწავლის ხარისხის განვითარებისთვის. აღნიშნული მოდელი ითვალისწინებს სექტორის და საგანმანათლებლო დაწესებულების თანამშრომლობით სწავლის დასასრულს პროფესიულ სტუდენტთა საბოლოო შეფასებას საკვალიფიკაციო გამოცდის სახით. გამოცდის მიზანია კომპლექსურად შეაფასოს პროფესიული სტუდენტების კომპეტენციები და მათი შრომის ბაზარზე ტრანზიციის პოტენციალი.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების უწყვეტი განვითარების სტიმულირებისთვის არსებითად მნიშვნელოვანია მათი ინოვაციური ინიციატივებისა და განვითარებისკენ მიმართული აქტივობების მხარდაჭერა და მათი ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა.

ამოცანა 3.3. პროფესიული განათლების პოპულარიზაციის ხელშეწყობა

მიუხედავად პროფესიული განათლების მიმართ საზოგადოებრივი აზრის ცვლილების დადებითი ტენდენციებისა, პროფესიული განათლების სტიგმატიზაცია, პროფესიის არჩევისას გენდერული სტერეოტიპები, ასევე რეფორმისა და არსებული სერვისების შესახებ არასაკმარისი ინფორმირებულობა აუცილებელს ხდის საკომუნიკაციო სტრატეგიისა შემუშავებასა და პროაქტიული, მულტისტეიკჰოლდერული და სისტემური ინტერვენციების დაგეგმვას. ერთიანი საკომუნიკაციო სტრატეგია მიზნად დაისახავს რეფორმის პროგრესის შესახებ საზოგადოების ინფორმირებას, ასევე სხვადასხვა პროფესიის მიმზიდველობის გაზრდას და უწყვეტი განათლების შესაძლებლობების წარმოჩენას. აღნიშნული სამოქმედო გეგმა განსაკუთრებულ აქცენტს გააკეთებს სხვადასხვა მოწყვლადი და დამატებითი საჭიროების მქონე ჯგუფთან მრავალფეროვანი გზებითა და საშუალებებით კომუნიკაციაზე, მათ მოზიდვასა და დაკვალიანებაზე. პოპულარიზაციის ყველა აქტივობა გახორციელდება გენდერული მეინისტრიმინგის გათვალისწინებით.

ერთიანი საკომუნიკაციო სტრატეგიის დანერგვაში უდიდესი როლი ენიჭებათ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელ

პირებს. მათი პროფესიული განვითარება აღნიშნული ამოცანის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა.

დარგის პოპულარიზაციისთვის ასევე მოეწყობა როგორც ერთიანი ეროვნული, ასევე სექტორული უნარების კონკურსები, მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე საერთაშორისო კონკურსი WorldSkills, სადაც ეროვნულ კონკურსში გამარჯვებული კანდიდატები იასპარეზებენ.

ყურადღება გამახვილდება მედია აქტივობაზე, მათ შორის სოციალურ ქსელებსა და საჯარო თავშეყრის ადგილებზე. საკომუნიკაციო სტრატეგიის მსხვილ კომპონენტს სკოლიდან ტრანზიციის ხელშეწყობა და სკოლებსა და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის მჭიდრო პარტნიორობა წარმოადგენს. აღნიშნული მიზნის მიღწევას ხელს შეუწყობს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში საორიენტაციო კურსების მასშტაბების გაზრდა, რომელიც პროფესიული განათლების პოპულარიზაციის ერთ-ერთი ქმედითი მექანიზმია.

ამოცანა 3.4. პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა

პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზაცია გულისხმობს სფეროში ჩართული ყველა აქტორისთვის საერთაშორისო პარტნიორობის გზით საუკეთესო გამოცდილების, ასევე, უახლესი ტენდენციების გაცნობის, გაზიარებისა და ეროვნულ დონეზე დანერგვის ხელშეწყობას. სტრატეგია ყურადღებას ამახვილებს საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ეფექტიანობის გაზრდაზე. ამ მიზნით, გაგრძელდება საერთაშორისო ორგანიზაციებში და ევროპულ ქსელებში გაწევრიანების შესაძლებლობების გამოყენება, რაც ხელს შეუწყობს საერთაშორისო მასშტაბით პროფესიული განათლების სისტემის ცნობადობის ზრდას და საერთაშორისო გამოცდილებისა და კარგი პრაქტიკების გაზიარებას.

პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით განხორციელებული მნიშვნელოვანი ინტერვენციების მიუხედავად, სტრატეგია მნიშვნელოვან აქცენტს აკეთებს უცხოურ სასწავლებლებთან ერთად გაცვლითი და ერთობლივი პროგრამების განხორციელებასა და ამ მიმართულებით თანამშრომლობის მასშტაბების გაზრდაზე. ამდენად, ხელშეწყობილი იქნება საერთაშორისო სივრცეში არსებული შესაძლებლობების გამოყენება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად განხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების გაძლიერება და მათი მხარდაჭერა საერთაშორისო პარტნიორების ქსელის გაფართოების მიზნით.

ასევე, მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული საქართველოსთვის Erasmus + პროგრამის სახით გაჩენილი შესაძლებლობა, რომელიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულებების, კერძო სექტორისა და სხვა ჩართული უწყებების ინსტიტუციურ განვითარებას, პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა და სხვა პერსონალის მობილობას და მათი პროფესიული თვალსაწიერის გაფართოებას, ასევე, ენობრივი კომპეტენციებისა და კულტურული ცნობიერების ამაღლებას. დაიგეგმება

ორგანიზაციათა შესაძლებლობების განვითარება საერთაშორისო პროექტების მომზადებასა და წარმართვაში. ასევე, მობილობაში მონაწილე პირთა მომზადება საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობისთვის.

ფართომასშტაბიანი პარტნიორობის ხელშესაწყობად, განსაკუთრებით კი ახალი კვალიფიკაციების/პროგრამების დანერგვის წახალისებისთვის, პრაქტიკაში რეალიზდება ერთობლივი და გაცვლითი პროგრამების მარეგულირებელი ჩარჩო, რაც გაამარტივებს უცხოელ კოლეგებთან თანამშრომლობას და მოაწესრიგებს განსხვავებული წესით ერთობლივი პროგრამების ავტორიზაციის პროცესს.

ამოცანა 3.5. პროფესიული განათლების დაფინანსება

პროფესიული განათლების სტრატეგიის ნაწილია პროფესიული განათლების დაფინანსების ეფექტური სისტემის განვითარება. პროფესიული განათლების დაფინანსების განახლებული სისტემა დაეფუძნება პროფესიული განათლების ხარისხის, ხელმისაწვდომობისა და თანასწორობის პრინციპებს. აღნიშნული ხელს შეუწყობს პროფესიული განათლების პროვაიდერებს შორის ჯანსაღი კონკურენციის გაზრდას. ამასთან, შენარჩუნდება პროფესიული განათლების ბიუჯეტის მზარდი ტენდენცია, რომელსაც ასევე ხელს შეუწყობს დაფინანსების დივერსიფიცირებული გზების გამოყენება.

რისკები

სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებასთან დაკავშირებულია მთელი რიგი გარე და შიდა ფაქტორები, რომლებმაც შეიძლება შეაფერხოს სტრატეგიის განხორციელების თანმიმდევრული პროცესი და მნიშვნელოვანი საფრთხე შეუქმნას კონკრეტული ამოცანების შესრულებას. სტრატეგიის წარმატებული, ეფექტური და ეფექტიანი განხორციელება დამოკიდებულია შიდა და გარე რისკების დროულ იდენტიფიცირებასა და შემცირებაზე.

სტრატეგიის იმპლემენტაციაზე შესაძლოა გავლენა მოახდინოს შემდეგმა რისკებმა:

- შესაძლებელია შეიქმნას როგორც ფინანსების მობილიზების, ასევე დაფინანსების მდგრადობის შენარჩუნების რისკი, რაც ნეგატიურად აისახება როგორც სტრატეგიის განხორციელების პროცესზე, ასევე, იმპლემენტაციის შემდგომ ეტაპებზე. ახალი საჭიროებების გამოვლენამ და მათი განხორციელებისათვის ფინანსური რესურსების გადანაწილებამ, შეიძლება მნიშვნელოვანი რისკი შეუქმნას სტრატეგიით გათვალისწინებული, სახელმწიფო სახსრებზე დამოკიდებული, ღონისძიებების განხორციელებას.

- ეფექტური კოორდინაციის არარსებობამ ან მრავალ აქტორს შორის ამოცანებისა და ვალდებულებების არასწორად გადანაწილებამ და არაკოორდინირებულმა მოქმედებამ შესაძლოა შეაფერხოს სტრატეგიის რომელიმე კონკრეტული ამოცანის განხორციელება, რაც საბოლოო ჯამში უარყოფითად აისახება სტრატეგიის ეფექტურად განხორციელების პროცესზე.
- ანგარიშვალდებულებისა და მონიტორინგის ეფექტიანი სისტემის არარსებობა, შესაძლოა მნიშვნელოვან შემაფერხებელი ფაქტორი აღმოჩნდეს სტრატეგიის დასახული მიზნებისა და ამოცანების წარმატებით მიღწევაში. აქედან გამომდინარე, საჭიროა სტრატეგიის განხორციელების პროცესისა და მიღწეული შუალედური და საბოლოო შედეგების სისტემური/სისტემატური მონიტორინგი და შეფასება.
- მიუხედავად იმისა რომ სტრატეგია ითვალისწინებს პროფესიული განათლების იმიჯის გაუმჯობესებას და პროფესიული განათლების შესახებ საზოგადოების ცნობიერების კიდევ უფრო ამაღლებას, საზოგადოების მხრიდან ინტერესის ნაკლებად გამოვლენა და ჩართულობის დაბალი მაჩვენებელი შესაძლოა გახდეს პოტენციური რისკი სტრატეგიის განხორციელების პროცესში. ვინაიდან, მიმდინარე ეტაპზე პროფესიული განათლება კვლავ მეორეხარისხოვან ალტერნატივად განიხილება უმაღლეს განათლებასთან შედარებით, არსებობს რისკი იმისა რომ აღნიშნული სტერეოტიპული დამოკიდებულება საზოგადოებაში კვლავ შენარჩუნდება.
- სტრატეგიის განხორციელებას შესაძლოა საფრთხე შეუქმნას კიდევ ერთმა რისკმა, რომელიც უკავშირდება პროფესიული განათლების სფეროში კერძო სექტორის მხრიდან ნაკლებ ჩართულობასა და ინტერესს. საჯარო-კერძო თანამშრომლობის გაძლიერებისა და მასშტაბების გაზრდის მიმართულებით განხორციელებული მნიშნელოვანი ინტერვენციების მიუხედავად, შესაძლოა, კერძო სექტორის მზაობისა და ნების ნაკლებობა სტრატეგიის განხორციელების პროცესში მნიშვნელოვან შემაფერხებელ ფაქტორად იქცეს.

სტრატეგიის განხორციელება

სტრატეგიის განხორციელება მოითხოვს ეფექტურ კოორდინაციასა და ეროვნულ თუ ინსტიტუციურ სამოქმედო გეგმებთან თანხვედრას. სტრატეგიის დანერგვას კოორდინაციას ერთობლივად გაუწევენ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტები, სამინისტროს შესაბამის სააგენტოებთან და სხვა ჩართულ მხარეებთან თანამშრომლობით. აღნიშნული ორი დეპარტამენტი პასუხისმგებელი იქნება სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის დანერგვის ყოველწლიური ანგარიშის მომზადების კოორდინაციასა და სტრატეგიის დანერგვის შემდგომ, საბოლოო შეფასებაზე. აღსანიშნავია, რომ სტრატეგიის განხორციელების ეტაპზე პირველი სამოქმედო გეგმა დაფარავს 2024 – 2026 წლებს.

მონიტორინგის ანგარიშებით გაანალიზდება აკმაყოფილებს თუ არა სტრატეგიული ჩარჩო ხედვასთან და საერთო მიზანთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, არის თუ არა სტრატეგიისა და აქტივობების განხორციელება სტრატეგიულ მიზნებზე ორიენტირებული და მათთან შესაბამისობაში. ამასთან, შეფასდება აღწევს თუ არა სტრატეგია და სტრატეგიის დამტკიცების შემდგომ შემუშავებული სამოქმედო გეგმის აქტივობები საზომი ინდიკატორების სამიზნე მაჩვენებლებს.

მონიტორინგისა და შეფასების ეტაპები დაეყრდნობა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 3 აპრილის N390129 ბრძანებით დამტკიცებულ "საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სამუშაო პროცესს" - სტანდარტულ სამუშაო პროცედურას, რომელიც მომზადებულია პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების პროცესის ეფექტიანად და დაბრკოლების გარეშე წარმართვის მიზნით, მონიტორინგისა და შეფასების, მტკიცებულებათა გამოკვლევის და ანალიტიკის გასაძლიერებლად, ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის - "საჯარო მმართველობის რეფორმის" ექსპერტული მხარდაჭერით.

მონიტორინგისა და შეფასების ანგარიშები იქნება საჯარო და განთავსდება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე. ელექტრონული და სხვა მედია საშუალებებით საზოგადოება ინფორმირებული იქნება მიღწეული პროგრესის შესახებ. ამასთან, სხვადასხვა მექანიზმების გამოყენებით, უზრუნველყოფილი იქნება სტრატეგიის განხორციელების გამჭვირვალობა.

სტრატეგიის განხორციელების შესახებ კომუნიკაცია და ინფორმირების ღონისძიებები

პროფესიული განათლების სტრატეგიის განხორციელებისას გამოყენებული იქნება ეფექტური კომუნიკაციისა და ინფორმირების მექანიზმები:

- **საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიები:**

მიზანი: პროფესიული განათლების მნიშვნელობისა და სარგებლის შესახებ საზოგადოების ინფორმირების გაზრდა.
მეთოდი: გამოყენებული იქნება მულტიმედიური პლატფორმები (ტელევიზია, რადიო, სოციალური მედია, ბეჭდური მედია) მრავალფეროვანი აუდიტორიის მისაწვდომად.
სამიზნე ჯგუფები: პოტენციური და არსებული პროფესიული სტუდენტები, მშობლები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, დამსაქმებლები და ფართო საზოგადოება.

- **დაინტერესებული მხარეების ჩართულობა:**

მიზანი: უზრუნველყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში უზრუნველყოფილი იყოს დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართულობა და მათი მოსაზრებების/პოზიციების გათვალისწინება.

მეთოდი: ფორუმების, სამუშაო შეხვედრებისა და მრგვალი მაგიდების ორგანიზება სამთავრობო უწყებების, საგანმანათლებლო დაწესებულებების, კერძო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

სამიზნე ჯგუფები: საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები.

- **პროგრესის ანგარიშებისა და პუბლიკაციების გავრცელება:**

მიზანი: სტრატეგიის განხორციელებაში გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა

მეთოდები: წლიური მონიტორინგისა და შეფასების ეტაპები დაეყრდნობა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 3 აპრილის N390129 ბრძანებით დამტკიცებულ "საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სამუშაო პროცესს" - სტანდარტულ სამუშაო პროცედურას, რომელიც მომზადებულია პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების პროცესის ეფექტიანად და დაბრკოლების გარეშე წარმართვის მიზნით, მონიტორინგისა და შეფასების, მტკიცებულებათა გამოკვლევის და ანალიტიკის გასაძლიერებლად, ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის - "საჯარო მმართველობის რეფორმის" ექსპერტული მხარდაჭერით.

მონიტორინგისა და შეფასების ანგარიშები იქნება საჯარო და განთავსდება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე. ელექტრონული და სხვა მედია საშუალებებით საზოგადოება ინფორმირებული იქნება მიღწეული პროგრესის შესახებ. ამასთან, სხვადასხვა მექანიზმების გამოყენებით, უზრუნველყოფილი იქნება სტრატეგიის განხორციელების გამჭვირვალობა.

სამიზნე ჯგუფები: ყველა დაინტერესებული მხარე.

- **უკუკავშირი და უწყვეტი გაუმჯობესება:**

მიზანი: სტრატეგიის შესაბამისობის უზრუნველყოფა არსებულ საჭიროებებზე.

მეთოდები: უკუკავშირის სისტემების დანერგვა, როგორიცაა გამოკითხვები/ფოკუს ჯგუფი, ონლაინ ფორუმები და სხვა. პერიოდული მიმოხილვებისა და შეფასებების უზრუნველყოფა, რათა განახლდეს კომუნიკაციის სტრატეგიები დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის საფუძველზე.

სამიზნე ჯგუფები: პროფესიულ განათლებაში ჩართული ყველა დაინტერესებული მხარე.